ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 30 აპრილი, 2013 №101 (6102) ფასი: 30 თეთრი

29 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ქართული ფენომენი
ტომი 1 8 ლარი
თეკლა ბატონიშვილი




# ვახტანგ ხმალაძე: „ძველი შსს ცოლ-ქმრის სექსუალურ ცხოვრებას ვიდეოზე იღებდა“



## ირაკლი ღარიბაშვილმა მოსმენების სამსახური გააუქმა

გვ.3



## ბიძინა ივანიშვილი: „საქართველოში ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ“

გვ.4



## თეა წულუკიანი: „ივანიშვილი და მერაბიშვილი ერთმანეთს გაურიგდნენ“

გვ.5





## ჯონდი ბაღათურია: „საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს!“

გვ.2

## კახა კახიშვილი: „პრეზიდენტობის კანდიდატი ალბათ კახი კალაძე იქნება“

გვ.5



## მაია ფანჯიკიძე: „სიმპათიური და გაწონასწორებული პრეზიდენტობის კანდიდატი გვჭირდება“

გვ.3

## გია ბარამიძე: „გაცოფებული ვარ“

გვ.4



25 აპრილიდან
„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ჩეხური ზღაპრები
ტომი 2
6 ლარი




ISSN 1987-9385

2 „სახალხო კრება“ სამართლიანობის აღდგენის პროცესით უკმაყოფილოა

6 ირაკლი ალასანია: „ვეცდებით, სასამართლოს დეპოლიტიზებას საფრთხე არ შეექმნას“

4 ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დააკავეს

7 ბავშვებზე მშობლების ძალადობენ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ჯონდი ბაღათურია: „საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

*— ბატონო ჯონდი, შევაფასოთ პოლიტიკური პროცესები. მოდით შუალედური არჩევნებით დავიწყოთ. რა დაგანახათ თქვენ ამ არჩევნებმა?*

— ამ არჩევნებმა მეც და მთელ ქართველ საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრსაც აჩვენა, რომ ჩვენ არ გვაქვს კარგი, თანაბარი და სამართლიანი საარჩევნო გარემო. ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ წინ გვაქვს სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ დრაკონული საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა საკუთარი თავისთვის მოირგო. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ ეს ისეთი კანონმდებლობაა, რომ ის ნებისმიერ ხელისუფლებას აწყობს თუკი ის ცდილობს, რომ არჩევნები უსამართლოდ ჩაატაროს.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არჩევნები უსამართლოდ ჩატარდა?*

— გარემო იყო სრულიად არათანაბარი. მე არ ჩავრეულვარ არჩევნებში, ჩემი სიტყვა ბოლომდე შევასრულე, მაგრამ აშკარა იყო, რომ უფრო მაღალი რეიტინგის კანდიდატმა წააგო იმიტომ, რომ მას არ ყოფნიდა რესურსი. ერთი მხრივ, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ძირითადი რესურსი, რომელიც პოლიტიკის კეთებისთვის არის საჭირო, თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა პოლიტიკური პარტიისთვის. ეს თავისთავად გაამძაფრებს კონკურენციას და ამით მხოლოდ და მხოლოდ ხალხი და სახელმწიფო იხეირებს. არჩევნები უნდა ტარდებოდეს თანაბარ და სამართლიან გარემოში. ესეც ჩვენს საარჩევნო კონკურენციას გაამძაფრებს და ამით მხოლოდ და მხოლოდ ხალხი ისარგებლებს. ჩვენ ყოველთვის გვყავდა და დღესაც ისეთი ხელისუფლება მივიღეთ, რომელიც არ არის დაბალანსებული. ქვეყნის უბედურებების ძირითადი ნაწილი, კორუფცია და სხვა წარუმატებლობები, იყო შედეგი არა მხოლოდ ქვეყნის მმართველის წარუმატებლობის, არამედ იყო ის, რომ ამ ქვეყნის მმართველ ძალას არ ჰყავდა დამაბალანსებელი, ანუ კონკურენტი ძალა, რომელიც უბრალოდ მას აიძულებდა სწორ მუშაობას. სააკაშვილი უზნეო იყო პრეზიდენტობამდეც და, რა თქმა უნდა, უზნეო დარჩებოდა პრეზიდენტობის შემდგომაც. ნორმალური კონკურენტული გარემო რომ ყოფილიყო, ის ამდენ დანაშაულს ვერ ჩაიდენდა.

*— ბატონო ჯონდი, ითქვა, რომ კახა კუკავას სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა შუალედურ არჩევნებში...*

— ამის თქმა მინდოდა სწორედ, როდესაც ვთქვი, რომ მაღალრეიტინგულმა კანდიდატმა ვერ მიაღწია გამარჯვებას, სწორედ კუკავას ვგულისხმობდი. მას აშკარად ჰქონდა პირველი რეიტინგი, მაგრამ გავიდა მეორე ადგილზე. ამან აჩვენა ის, რომ მხოლოდ რეიტინგი და ხალხის ნდობა არ ყოფნის არჩევნებში გასამარჯვებლად. მე სწორედ ამის თქმა მინდოდა, ჯერ საკანონმდებლო ბაზა უნდა შექმნა, ისეთი საარჩევნო და თანაბარი გარემო, რომ ხალხის ნდობა იყოს გადამწყვეტი პოლიტიკოსის და პოლიტიკური ძალის გამარჯვებისათვის და არა, ვთქვათ, ფულადი რესურსის სიჭარბე, კონტროლი ტელევიზიაზე და ასე შემდეგ. მე მაგალითს მოგიყვანთ, მაგალითად, როგორი წესიერი ბიზნესმენიც არ უნდა იყოს, თუ ის მონოპოლისტია, თუ მას კონკურენტი ეკონომიკურ ბაზარზე არ ჰყავს, თუ ის იდეალური ნამუსის კაცია, შეიძლება მან პროდუქტი არ გააფუჭოს, მაგრამ არც იმას შეეცდება, რომ უკეთესი ხარისხის პროდუქტი აწარმოოს. ზუსტად იგივე მდგომარეობაა პოლიტიკაში, სანამ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ქვეყანას მართავს, არ ეყოლება ორი, სამი, ან მეტი თანაბარი ძალის კონკურენტი, მანამდე ის უკეთესი პროდუქტის შექმნას არ შეეცდება და ეცდება ისე იმუშაოს, როგორც მას ამ ეტაპზე გამოსდის. ჩვენ უნდა დავძაბოთ პოლიტიკური კონკურენცია, პოლიტიკური გარემოს გათანაბრებით და ამითი შვება უნდა იგრძნოს ხალხმა და ძალიან დაძაბულ რეჟიმში უნდა მოუწიოს პოლიტიკოსებს მუშაობა. ახლა ის, რაც გააკეთა ქართული ოცნების დეპუტატების ერთმა ნაწილმა, რომ პარლამენტში შევიდა, მობილურს აღარ პასუხობს, აღარ ხვდება მოსახლეობას. ამას ვერ გაბედავდა ვერც ერთი პოლიტიკური პარტია თუკი მას ეყოლებოდა ძლიერი პოლიტიკური კონკურენტი. ვერც პარტიის ლიდერი ვერ მისცემდა თავის თავს უფლებას, რომ ამ საკითხისთვის ამდენი ხანი ყურადღება არ მიექცია თუკი მას ეყოლებოდა ასეთი კონკურენტული ძალები.

*— დღეს ეს რეალობა გვაქვს?*

— სამწუხაროდ, ეს რეალობაა. ძალიან კარგი მაგალითი მოვიყვანეთ, ნაძალადევის რაიონში დამარცხდა კანდიდატი, რომელსაც ჰქონდა უფრო მაღალი რეიტინგი, ვიდრე გამარჯვებულ კანდიდატს. ხალხის სურვილი იყო ასეთი, რომ განსხვავებული ძალა შესულიყო პარლამენტში. არც ნაციონალური მოძრაობა და არც ოცნება, ხალხს უნდოდა, რომ ახალი ძალა ყოფილიყო. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, მე ვიყავი ძალიან დიდი წნეხის ქვეშ საზოგადოებრივი აზრის მხრიდან. ხალხი ითხოვდა, რომ გავსულიყავი არჩევნებში. მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ მეყარა კენჭი და ამას ჰქონდა სერიოზული საფუძვლები. მე რომ არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა, საარჩევნო კამპანიაში პირდაპირ ჩართავდნენ პრემიერს. როგორც ეს ოქტომბრის არჩევნებისას მოხდა. პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში მიწევდა ოპონირებას პირადად პრემიერ-მინისტრი. იყო კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი და, შესაბამისად, მივიღე სწორი გადაწყვეტილება. თავისუფალმა საქართველომ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ებრძოლა ბოლომდე და მთელი ეს სიმძიმე თავის თავზე გადაეტანა, მინიმუმ ის გააკეთა, რომ მთელ საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრს აჩვენა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვმუშაობთ იმ დრაკონული კანონით, რომელიც სააკაშვილმა თავის თავზე მოირგო. ამ კანონს ჩვენთან ერთად დრაკონულს უწოდებდა ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც დღეს კოალიციაშია. ჯერჯერობით წერტილი და მძიმეც კი არ არის ამ კანონში შეცვლილი. აი, ეს არის დამაფიქრებელი. სხვათა შორის, რომ ჰყოლოდა ქართულ ოცნებას რეალური კონკურენტი და არა ასეთი, მასხარაობამდე მისული მარგინალური ძალა, ნაციონალური მოძრაობის სახით, ასეთ შემთხვევაში ამ კანონსაც შეცვლიდა და ბევრ წარმატებულ რეფორმას გაატარებდა, გნებავთ სისხლის სამართლის პოლიტიკის და გნებავთ სოციალურ სფეროში.



*— ბატონო ჯონდი, დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. თქვენი საუბრიდანაც ამ დასკვნის გაკეთება შეიძლება... რამდენად არის ამის შესაძლებლობა?*

— მე ვაკვირდები პროცესებს და თუ გნებავთ გუშინდელმა დღემაც ეს დაადასტურა, რომ შემოდგომამდე პარლამენტი იმდენად დაშორდეს თავის ხალხს, რომ გარდაუვალი გახდეს მოთხოვნა, რომ შედგეს ახალი საპარლამენტო არჩევნები. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, არ გამოვრიცხავ ამას, იმიტომ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილი ისეთი სწრაფი ნაბიჯებით შორდება ხალხს, რომ ადვილი შესაძლებელია შემოდგომაზე ასეთი მოთხოვნა საზოგადოებისგან წამოვიდეს და მე არ გამოვრიცხავ, რომ პოლიტიკური პარტიების უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭიროს ხალხის ამ მოთხოვნას.

*— ბატონო ჯონდი, რაც შეეხება ოპოზიციური ძალების გააქტიურებას, ჩვენ პრემიერისგანაც მოვისმინეთ, რომ უნდა შეიქმნას მესამე პოლიტიკური ცენტრი და პირდაპირ გვარები დაასახელა თუ ვინ უნდა შექმნას ის. თუმცა საზოგადოების დიდმა ნაწილმა ცუდად გაიგო მისი ნათქვამი. ითქვა, რომ მას უნდა, მართული ოპოზიცია ჰყავდეს. როგორია თქვენი, როგორც ოპოზიციონერის შეფასებები ამასთან დაკავშირებით? ითქვა, რომ ჯონდი ბაღათურია ოპოზიციაში გადავიდაო...*

— მე მეორე შეკითხვით დავიწყებ. სწორედ რომ შექმნილმა მდგომარეობამ, როდესაც ჩანს, რომ ხელისუფლება ან ვერ ატარებს რეფორმებს სოციალურ სფეროში, სისხლის სამართლის პოლიტიკაში. ხალხს ეგონა რომ ისინი ჯობდნენ ეროვნულ ძალას, მაგრამ რეალურად ძალაუფლებაში მოვიდნენ ლიბერალები. ისეთივე იდეოლოგიის მატარებელი ძალა, როგორიც იყო ნაციონალური მოძრაობა და თავისუფლების ინსტიტუტი. ესენი არიან რესპუბლიკელები, რეალურად ისინი იღებენ ყველა გადაწყვეტილებას. შესაბამისად ქართულ დასში გაჩნდა აზრი, რომ ჩვენ გადავინაცვლოთ ოპოზიციაში და გულახდილად გეტყვით, ამ გადაწყვეტილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ აშკარად შესამჩნევი გახდა, რომ რესპუბლიკური პარტია, რომელიც დღეს ერთადერთი მმართველი ძალაა და სხვა პარტიებს მხოლოდ ბუტაფორიული ფუნქციები აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. ისინი ცდილობენ პოლიტიკურად გადაარჩინონ ნაციონალური მოძრაობა და ხელოვნურად შეინარჩუნონ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ერთ-ერთი ოპონენტი ძალა. პოლიტიკური გადარჩენა ავტომატურად ნიშნავს პასუხისმგებლობიდან გადარჩენასაც და იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოსა და ხალხისაგან ნაქურდალი ქონების ერთი ნაწილი შეინარჩუნონ, ხოლო მეორე ნაწილი, ჩხუბის და კინკლაობის გარეშე გაუყონ თავის გადამრჩენელებს. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რამაც ჩვენ მიგვაღებინა გადაწყვეტილება, რომ ამის საშუალება არ მივცეთ არც რესპუბლიკელებს და არც ნაციონალურ მოძრაობას. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ქართული ოცნება გამარჯვების შემდგომ დადგა ასეთი არჩევანის წინაშე, რომ ან ჩამოერთმიათ ნაციონალური მოძრაობისთვის მთლიანად უკანონოდ მითვისებული ქონება. ამ ქონების ნაწილი სახელმწიფოსგან მიითვისეს, ნაწილი კი ხალხისაგან ნაქურდალი ქონება და წართმეული ბიზნესებია, რომელიც მათ უნდა დაებრუნებინათ ხალხისათვის, ან ასეთი ფარული და ჩუმ-ჩუმი მოლაპარაკების გზით, პოლიტიკურად გადარჩენის სანაცვლოდ და ასევე ქონების ნაწილის შენარჩუნების სანაცვლოდ, ეს ქონება ნაციონალური მოძრაობისაგან, თავის თავზე გადმოეფორმებინათ. ანუ ნაცებს წილში ჩაწილებულიყვნენ. მე ვხედავ, რომ ნაწილი ჩვენი კოლეგების, ამ სრულიად სამარცხვინო გზას დაადგა. ჩვენ ამას ვერანაირად ვერ დავუშვებთ. მინდა გითხრათ, რომ ეს არა მხოლოდ უსინდისო გადაწყვეტილებაა, არამედ სრულიად უჭკუო გადაწყვეტილება. საზოგადოებას ამისთვის არ უბრძოლია. დღევანდელი საზოგადოების მოთხოვნის სტანდარტები სულ სხვა არის, ვიდრე აქამდე იყო, ამიტომ ეს მათი მხრიდან სრულიად უგუნური საქციელია და განწირულია მარცხისათვის. ასეთი უსინდისო მცდელობა რომ მარცხისთვის იყოს განწირული, სწორედ ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გადავინაცვლოთ ოპონირების რეჟიმში.

*— პრემიერის განცხადებას რაც შეეხება ოპოზიციურ ძალაზე?*

— პრემიერის განცხადების ერთი ნაწილი აბსოლუტურად სწორი იყო. ეს სახელმწიფოდ მოაზროვნე კაცის განცხადებაა, როცა ის ამბობს, რომ საჭირო არის მესამე ძალა შეიქმნას, ანუ ოპონენტი ძალები გააქტიურდნენ. საზოგადოების მხრიდან ნეგატიური განწყობაც სწორი იყო, რადგან პრემიერმა შეცდომა დაუშვა, როდესაც მან ძალების დასახელება დაიწყო. ამან გამოიწვია სრულიად სამართლიანი განცდა, რომ პრემიერი ცდილობს, რომ შექმნას მართული ძალა, როგორც წარსულში სააკაშვილს ჰყავდა ჩახვაძე და რაღაც ასეთი პარტიები, რომლებიც ძირითადად ლეღვის ფოთლის ფუნქციას ასრულებდნენ. გახსოვთ თქვენ, ნებისმიერი მწვავე გამოსვლა, რომელსაც პრეზიდენტზე ან უმრავლესობაზე წამოვიწყებდი, აუცილებლად გამოესარჩლებოდა ჩახვაძე, ან სხვა უმცირესობის წარმომადგენელი პარტია. პრაქტიკულად ყველა პარტია იყო მათი სატელიტი. გეტყვით იმასაც, რომ სავსებით წარუმატებელი იყო მათი მცდელობა, რადგან მე მაინც ვახერხებდი პოლემიკაში შევსულიყავი უმრავლესობასთან. ბოლოს როგორ სამარცხვინოდაც მოიქცა პრეზიდენტი და როგორ წააგო პოლემიკა ჩემთან, ეს სრულიად საქართველომ ნახა. მე არ მგონია, რომ ბიძინას ამით იმის თქმა უნდოდა, რომ სატელიტი პარტიები შევქმნათ, თუმცა დატოვა ასეთი შთაბეჭდილება. მან დაასახელა სამი ქალი, სამი ლიდერი. მე სამივეს პატივს ვცემ, მაგრამ ჩემი აზრით, მან ცოტა სახელიც გაუფუჭა...

*— ეს მიზანმიმართულად ხომ არ გააკეთა? თავი დაიზღვია თუ ისინი ოპონირებას გაუწევენ ქართულ ოცნებას, დაე, საზოგადოებას ასე ეგონოსო?*

— არა მგონია, ასე იყოს. მე როდესაც ვაცხადებ, რომ წავედი ოპოზიციაში და ოპონირებას გავუწევ ხელისუფლებას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტყუილები ილაპარაკო. მინდა ვთქვა, რომ მე ვინარჩუნებ პატივისცემას ბატონი ბიძინას მიმართ. მეჩვენება, რომ მას არ ახასიათებს ტყუილები და ეს ძალიან კარგი თვისებაა პოლიტიკოსისთვის. ჩემი აზრით, რასაც ფიქრობდა, ის თქვა. მე არ ვფიქრობ, რომ მას სატელიტების შექმნა უნდოდეს, თუმცა მისმა ნათქვამმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებაში და საზოგადოებამაც სწორად გამოხატა თავისი პროტესტი ამის მიმართ. გვარები რომ არ დაესახელებინა, ალბათ, უკეთესი იქნებოდა.

## სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოში სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში, პოლიციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრა შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ გახსნა. მოწვეული სტუმრებისთვის პოლიციის შესახებ კანონპროექტის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში პოლიციის განახლებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეთიკის კოდექსის, შსს-ს დანაყოფებისთვის შემუშავებული სტანდარტული ოპერატიული პროცედურების და სამართალდამცავ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის პრეზენტაციები ჩატარდა. სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2008 წლიდან მიმდინარეობს. რეფორმის განხორციელების პროცესში ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა, ასევე სახალხო დამცველის აპარატი და შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ჩართული. შსს-ს ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფის მიზანია პოლიციაში მიმდინარე რეფორმების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ პოლიციის რეფორმაში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ნიუსპრესი**

## „სახალხო კრება“ სამართლიანობის აღდგენის პროცესით უკმაყოფილოა

„სახალხო კრებამ“ აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამართა, რომელზეც საბჭოს წევრებმა, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს. როგორც „ნიუსპრესს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, სხდომაზე ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ – სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალზედ ჭიანურდება, რაც სამართლიანად ზრდის უკმაყოფილებას ხალხში ახალი ხელისუფლების მიმართ. „საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 1 ოქტომბერს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ხმა „ქართულ ოცნებას“ იმ იმედით მისცა, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგებოდა და მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდა ყველა ის თანამდებობის პირი, რომლებიც წლების მანძილზე მოქალაქეების დატერორებას და კერძო საკუთრების ხელყოფას ახორციელებდნენ, სდევნიდნეს ადამიანებს პოლიტიკური შეხედულებების გამო და ამით აძლიერებდნენ რეჟიმს. „სახალხო კრების“ აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში გამართოს „სათათბირო დარბაზის“ გაფართოებული სხდომა, სადაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და სამომავლო პერსპექტივები იქნება განხილული. ასევე „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო და დარბაზი იმსჯელებს 26 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებითაც“ – ნათქვამია „სახალხო კრების“ პრესსამსახურის ინფორმაციაში.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ხმალაძე: „ძველი შსს ცოლ-ქმრის სექსუალურ ცხოვრებას ვიდეოზე იღებდა“

## ირაკლი ღარიბაშვილმა მოსმენების სამსახური გააუქმა

ნათია ხურცილავა

სამოქალაქო საზოგადოების – „საქართველოს ეროვნული პლატფორმისა“ და მედიის წარმომადგენლების ინიციატივით გუშინ – „სამოქალაქო კონტროლი უკანონო მოსმენების აღსაკვეთად“ კონფერენცია გაიმართა.

სამოქალაქო სექტორმა პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს მოუსმინეს და კონკრეტული ინფორმაცია მიიღეს, თუ რას აპირებს ახალი ხელისუფლება, ყოფილი ხელისუფლების პირობებში არსებულ მანკიერ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში ყველას და ყველაფერს უსმენენ.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, საზოგადოებაში არსებული ამ განცდის წინააღმდეგ ბრძოლისთვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

პრემიერ-მინისტრმა საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ საზოგადოების მხრიდან პროკურატურის თუ პოლიციის მისამართით გადაჭარბებული კრიტიკა გამოითქმის. როგორც მან განაცხადა, ძალიან სწყინდა, როდესაც ვანო მერაბიშვილს ადარებდნენ ირაკლი ღარიბაშვილს.

– მე მახსოვს, შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ადარებდნენ ვანო მერაბიშვილს, რაზეც მე ძალიან მტკიოდა გული. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, სწორი აქცენტები გავაკეთოთ, არ გადავაჭარბოთ კრიტიკასაც. მასაც ზომიერება სჭირდება, რომ ხელისუფლებასაც გამოსწორების დრო დავუტოვოთ, ჩვენც ვსწავლობთ, გვყავს გულწრფელი მთავრობა. მე მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ღარიბაშვილი არასოდეს და ვერასოდეს იქნება ვანო მერაბიშვილი. – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თითოეულ ადამიანს ჰქონდა განცდა, რომ მას უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ, მაგრამ ეს ასე არ იყო და წარმოუდგენელია, ათიათასობით ადამიანს მოუსმინო.

– ჩვენ ვიმყოფებით დღეს ამ რეალობაში და ჩვენ მონაწილეები ვიყავით და დღესაც ვართ ამ რეალობის. ეს არავის ჩამოუგდია ციდან და ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი პასიურობით თუ უმოქმედობით მიგვეღო ის, რაც მივიღეთ და ჩვენ ვცხოვრობდით ამ გარემოში. ჩემთვის ყველაზე საინტერესოა მაინც პატარა ექსკურსი გავაკეთო წარსულში – რატომ მივედით იქამდე, სადაც ჩვენ ვიყავით. თითოეულ ადამიანს ჰქონდა განცდა, რომ მას უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ. თუ სიტუაციას გავაანალიზებთ, ეს ასე არ იყო და წარმოუდგენელია, ათიათასობით ადამიანს მოუსმინო. ეს იყო აბსოლუტურად გამიზნული იდეოლოგია. არ უსმენდნენ საზოგადოების 1%-საც, მაგრამ ავრცელებდნენ შეგნებულად. მიზანი საზოგადოების ტოტალური დაშინება იყო, რათა საზოგადოების დიდ ნაწილს შიშის ქვეშ ეცხოვრა. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ისინი რასაც არ აკეთებდნენ, შემდეგ ტირაჟირებას ახდენდნენ.



თუ საზოგადოებას ჰგონია, რომ ეს იდეოლოგია კვლავ გრძელდება, ძალიან ცუდია. ეს ახალი ხელისუფლების შემდეგ დასრულდა, რასაც მე ვეძახი სამართლიანობის აღდგენას. – განაცხადა ივანიშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უახლოეს კვირაში მოაწყობს შეხვედრას, სადაც გაარკვევს, რამდენად საჭიროა შსს-ში არსებული უკანონო მოსმენების მასალების გარკვეული დროით შენახვა.

– აქ გამომსვლელების გამონათქვამებში იგრძნობოდა, რომ მასალები შსს-ში კიდევ დიდხანს და უვადოდ უნდა შეინახონ და მათ აღნიშნეს, რომ ეს მასალები დაუყონებლივ უნდა განადგურდეს. მე მათ აბსოლუტურად ვეთანხმები. უახლოეს კვირაში მოვაწყობ შეხვედრას, რომ პროფესიონალურად გავარკვიო, ასევე რამდენად დაგვარწმუნებენ ისინი, რომ ამ მასალების გარკვეული დროით შენახვაა საჭირო. ასეთი ზარბაზანი რომ გიდევს, რომელიც შეიძლება, აფეთქდეს ან გაზი გაეპაროს, არ უნდა იყოს უვადოდ და გაურკვევლად შენახული, თუმცა შს მინისტრმა გამოთქვა გარკვეული აზრი აღნიშნულთან დაკავშირებით, რომ მასალები ესაჭიროება გამოძიებას. მე კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ გაურკვეველი დამოკიდებულება არ იქნება, ყველაფერს დეტალურად გავარკვევ და ინფორმაციას მოგაწვდით. – აღნიშნა ივანიშვილმა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, კანონიერი მოსმენის შემთხვევაში პირად ცხოვრებაზე მოპოვებული მასალები, თუ ის არის კომპრომატი, კანონის შესაბამისად, უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ და ამის შესახებ ეცნობოს იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს.

– იმ არქივში, რომელიც შსს-ს ახალ ხელმძღვანელობას დახვდა, ერთ-ერთ ვიდეო მასალაში აღბეჭდილი იყო ცოლ-ქმრის სექსუალური ურთიერთობა. ეს შეიძლება არ იყოს მაკომპრომატირებელი, მაგრამ ხომ უზნეობაა ამის შენახვა. – აცხადებს ხმალაძე.

ხმალაძის განცხადებით, საქართველოში მობილური კომპანიები ინახავენ ინფორმაციას.

– ზოგიერთ ქვეყანაში იყო დაწესებული ვადები, თუ რა პერიოდის განმავლობაში შეეძლოთ ინფორმაციის შენახვა. გერმანიაში იყო 6-თვიანი ვადა და ისიც გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. როცა არსებობს შენახული, ყოველთვის არსებობს მისი გაჟონვის საფრთხე. – ამბობს ხმალაძე.

ხმალაძის თქმით, გადასახედია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა. მაგალითად, მისი თქმით, კანონში წერია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების გამოსათხოვად, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორმა სამი დღით ადრე უნდა აცნობოს ამ უწყებას. ხმალაძის თქმით, ეს არის ნონსენსი, რადგან ამ ვადაში, თუ უკანონო მასალა აქვს უწყებას, ცხადია, გაანადგურებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ გამოძიების დასრულებისთანავე წინა ხელისუფლების დროს უკანონო მოსმენების შედეგად შექმნილი არქივის განადგურებას გეგმავს.

ირაკლი ღარიბაშვილმა სამოქალაქო სექტორს პირობა მისცა, რომ უკანონო თვალთვალი და უკანონო მოსმენები აღარ იქნება.

– გიდასტურებთ, რომ დავასრულეთ უკანონო მოსმენები, თუმცა მხოლოდ ამის თქმა საკმარისი არ არის. რეალური ქმედებებია საჭირო, რომ ეს აღარ ხორციელდება. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ჩვენს უწყებაში უკანონო მოსმენები დასრულებულია მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. პრემიერმა მართალი ბრძანა იმის შესახებ, რომ როცა სახელმწიფოში არ არის იდეოლოგია და ნება, რომ უკანონო თვალთვალი იყოს, ეს არ იქნება. – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრად მისი დანიშვნისთანავე კუდ-ის რამდენიმე თანამშრომელი უკანონო მოსმენებში იქნა მხილებული და პასუხისგებაში მიცემული.

– მასობრივი მოსმენები ხორციელდებოდა ტელეფონითაც, კომპიუტერითაც. ამის მსხვერპლი მეც გავხდი, ასევე პრემიერის ოჯახიც. კუდ-ში ვირუსები იქმნებოდა და ათასობით კომპიუტერი ვირუსდებოდა. ჩვენ ეს განყოფილება გავაუქმეთ და ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ კანონით მოსმენები ვახორციელოთ და ეს ხდება მხოლოდ კანონის დაცვით. – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, როგორც კი უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით გამოძიება დასრულდება, შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული არქივი დაუყონებლივ განადგურდება.

– ჯერ გამოძიება მიმდინარეობს, რამდენიმე პირი კიდევ გვყავს დასაკითხი, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე მესხელი და სხვა მაღალჩინოსნები. როგორც კი დავასრულებთ გამოძიებას, არქივი დაუყონებლივ განადგურდება, შესაძლოა, საჯაროდაც. – აღნიშნა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ მთავარია ხალხმა დაიჯეროს, რომ ქვეყანაში უკანონო მოსმენები და თვალთავლი დასრულდა.



– როდესაც ამ სიმახინჯეზე ვსაუბრობთ – ფარული ჩანაწერი, მოსმენა და ა.შ. არ აქვს მნიშვნელობა, რა არის გადაღებული – ინტიმური თემები თუ უბრალოდ, საუბარი. როცა დაცვაზე ვლაპარაკობთ, ეს ორივე ერთნაირად უნდა იყოს დაცული. ამ მიმართულებით შესამუშავებელია კამპანიური ღონისძიება. რამდენადაც არ უნდა ვთქვათ, რომ ეს დამთავრდა, ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ დამთავრდა. ამაზე კი დიდი ძალისხმევაა საჭირო. – ამბობს უსუფაშვილი.

უსუფაშვილი ამბობს, რომ პარლამენტში მზად არიან, გაიზიარონ კონკრეტული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცვლილებებია განსახორციელებელი კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებში, რადგან იქ ბევრი ხვრელია დატოვებული.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ასევე ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი აღმასრულებელ დონეზეც.

– სპეციალური თანამდებობა – პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი ვაკანტურია და ეს კანონი ასამუშავებელია, რომ ამ ინსტიტუტს ჰქონდეს სათანადო წვდომა იმისთვის, რომ მონიტორინგი იყოს ეფექტური. – აღნიშნა უსუფაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თინა ხიდაშელის განცხადებით, მედიას იმ ინფორმაციის ტირაჟირებაზე, რომელიც შესაძლებელია, ყოფილ მაღალჩინოსნებს ჰქონდეთ წაღებული, მაღალი ხარისხის ვალდებულება უნდა დაეკისროს.

– როდესაც დაცვის გარანტიებზე ვსაუბრობთ, ჩვენ არ ვიცით, რა წაიღო ძველმა ხელისუფლებამ თან. როდესაც ჩემოდნებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ ვიცით, რა დარჩა, რისი ასლები გაკეთდა და რა წაიღეს. მთავარი ამბავი დღეს ორია. პირველი, რომ ამ ხელისუფლებას მოვთხოვოთ ის, რომ ეს იყოს დაშიფრული და ა.შ. რაც გამოიყენება საგამოძიებო მიზნებისთვის და შემდეგ განადგურდეს. ასევე, მედიას განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ვალდებულება უნდა დავაკისროთ იმ ინფორმაციის ტირაჟირებაზე, რომელიც სავარაუდოდ, შესაძლებელია, ყოფილ მაღალჩონოსნებს ჰქონდეთ წაღებული და ზოგიერთ მედიასაშუალებას ამ ინფორმაციაზე ექსკლუზივი აქვს. ის, რაც ხდება საქართველოში, რომ იუთუბ-ზე ვიღაცამ რაღაცა ატვირთა და შემდეგ შენ ტელეეთერი დაუთმე, ეს არ არის იმ ტიპის ურთიერთობა, როდესაც მე და თქვენ სხვადასხვა მხარეს დავსხდებით და თანაბარი პირობებით ვისაუბრებთ. თქვენთვის ადვილია ამ თემაზე ლაპარაკი. ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, მსხვერპლი ვიყავიაო. მეც ვიყავი მსხვერპლი და ვერც ერთი ადამიანი მეტყვის, რომ საზოგადოებრივად მაღალი ინტერესი იყო იმ აუდიო-ჩანაწერების გაშვებაში, რომელიც წინასაარჩევნოდ იქნა ტირაჟირებული, მაგრამ ერთმა ტელევიზიამ გადაწყვიტა, გაეშვა. ჰქონდა კონკრეტული პოლიტიკური ამოცანები. მართალია, ტყუილია, დამონტაჟებულია – ამას რა მნიშვნელობა აქვს. ამას მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ირაკლისთვის და კონკრეტული ადამიანებისთვის, მაგრამ არა საზოგადოებისთვის. როცა მედიის სტანდარტებზე ვსაუბრობთ, ეს იმდენად ცუდი ამბავი უნდა გახდეს, რომ ვერც ერთმა ტელევიზიამ ვერ უნდა გაბედოს ასეთი რამის ტირაჟირება და თუ ამას გააკეთებს, უბრალოდ, მარგინალი უნდა იყოს. ეს არის მთავარი თემა და არა ის, კანონში რას ჩავწერთ. – აღნიშნავს თინა ხიდაშელი.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი კი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს პრეცედენტის შექმნა და კანონის შესაბამისად, ფარულ უკანონო მოსმენებში მონაწილე კომკრეტული პირები უნდა დაისაჯონ.

– თუ ასეთი პრეცედენტი არ შეიქმნა, შეიძლება, იგივე კიდევ განმეორდეს. – ეჭვობს ნანუაშვილი.

# მაია ფანჯიკიძე: „სიმპათიური და გაწონასწორებული პრეზიდენტობის კანდიდატი გვჭირდება“

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობის“ ფარგლებში გუშინ ჟურნალისტებს შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა.

ჟურნალისტებს კონკრეტულად საგარეო უწყების ხელმძღვანელისგან აინტერესებდათ, როგორც ქვეყნის საგარეო ორიენტირები და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ასევე ვინ შეიძლება პრემიერმა საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელოს.

ფანჯიკიძის განცხადებით პრემიერმა შეიძლება პოლიტსაბჭოზე რამდენიმე კანდიდატი წარადგინოს განსახილველად, მაგრამ მაისის შუა რიცხვებისთვის, ერთი და არა რამდენიმე კანდიდატი იქნება ცნობილი.

– პრემიერი აზრს პოლიტსაბჭოს დაეკითხება და ერთპიროვნულად არ მიიღებს გადაწყვეტილებას. სიმპათიური და გაწონასწორებული ყველა თანამდებობისთვის კარგი იქნება, მაგრამ პრეზიდენტის თანამდებობაზე განსაკუთრებით საჭიროა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისთვის ჯერ უცნობია, თუ რომელი კანდიდატები განიხილებიან ქვეყნის პირველი პირის თანამდებობაზე.



რაც შეეხება მოქმედ პრეზიდენტს, ფანჯიკიძე უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტები მის უწყებასთან შეთანხმებული არაა.

– ხშირ შემთხვევაში, არც საელჩოები არაა ინფორმირებული. საელჩოს წარმომადგენელი იშვიათად ესწრება შეხვედრებს. საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩართული უნდა იყოს უმაღლესი დონის ვიზიტებში. – განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება საქართველო გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად საკუთარი კანდიდატურის 2014 წლისთვის წარადგენს თუ რა, მინისტრის თქმით, აღარ წარადგენს, თუმცა ეს სამომავლო ამბიციაა.

– გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად საქართველოს კანდიდატურის წარდგენას რაც შეეხება, 2014 წლისთვის არ იგეგმება, მაგრამ რასაკვირველია, ეს აუცილებლად იქნება მომდევნო წლებში. ეს არ არის მარტივი საქმე, ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. 2014 წელი უკვე მალეა და თუ არ ვცდები, 2014 წლისთვის არჩევნები მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა გაიმართოს. აქედან გამომდინარე, დრო იმისათვის, რომ საქართველოს ეს მოესწრო, არ იყო. გარდა ამისა, არა მხოლოდ ფიზიკურ და დიპლომატიურ, არამედ ფინანსურ ძალისხმევასთანაც არის დაკავშირებული ამ ადგილის მოპოვება, მაგრამ საქართველოს ეს ამბიციური გეგმა აუცილებლად ექნება მომდევნო წლებში, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

შეეხო თუ არა ქვეყნის უსაფრთხოების დოქტრინას ცვლილება? ქვეყნის პირველი დიპლომატის განცხადებით, საქართველოს უსაფრთხოების დოქტრინაში არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა.

– უსაფრთხოების დოქტრინაში არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა. საფრთხეების თვალსაზრისით, აღნიშნულია კვლავ რუსეთი და ის, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20% მის მიერაა ოკუპირებული. დოქტრინაში მხოლოდ ერთი დანამატია, რომელიც ეხება პრაგმატულ მიდგომას და საქართველოს სურვილს, გააუმჯობესოს ურთიერთობები რუსეთთან ეკონომიკური და ჰუმანიტარული თვალსაზრისით. მეტი ცვლილება არ არის. უსაფრთხოების დოქტრინის განხილვაში ყველა უწყება იყო ჩართული, ვისაც ეს ეხება. ახლა გადაგზავნილია უშიშროების საბ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ბიძინა ივანიშვილი: „საქართველოში ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ“

შორენა მარსაგიშვილი

ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია ჩვენში ალბათ კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური. ამას ჩვენს ქვეყანას ევროპა და ამერიკა აძალებს და სწორედ კოჰაბიტაციის ხათრით არ ხდება დამნაშავეების გისოსებს მიღმა გაშვება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბევრს მართლა არ დაიჭერენ. არადა, ხალხმა სწორედ სამართლიანობის აღდგენის ხათრით მისცა ოცნებას ხმა.

სამართლიანობის აღდგენის და კოჰაბიტაციის საკითხებზე გუშინ კიდევ ერთხელ ისაუბრა ბიძინა ივანიშვილმა. თბილისში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ორგანიზებით „როუზ-როს“ სემინარი ტარდება. საქართველოს პრემიერი სწორედ ამ სემინარზე გამოვიდა სიტყვით. ივანიშვილმა, ბუნებრივია, ნატოზეც ისაუბრა. ეს სემინარი სამხრეთ კავკასიაში არსებულ პრობლემებს ეხებოდა. ივანიშვილს არც ამ პრობლემებისთვის აუვლია გვერდი. ჩვენს რეგიონში პრობლემები მართლაც ბლომად არის.

— სამწუხაროდ, ჩვენს რეგიონში კიდევ არსებობს კონფლიქტების საშიშროება. უნდა აღვნიშნო, რომ კავკასია ჯერ კიდევ არ არის მშვიდობის ზონა. უფრო მეტიც, რეგიონი პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესის ერთ-ერთ ურთულეს უბნად ჩამოყალიბდა. თვითონ განსაჯეთ, ამ მცირე ტერიტორიაზე ერთდროულად ორი სახელმწიფოთაშორისი და სამი რეგიონალური კონფლიქტია. არც ერთ მათგანს, ჯერჯერობით, გადაწყვეტის გამოკვეთილი პერსპექტივა არა აქვს. დღემდე ვერც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ამ კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით ინიცირებულმა მექანიზმებმა მოგვცა პრაქტიკული შედეგი. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, სამხრეთ კავკასიას სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალური ჩართულობა და მიზანმიმართული მხარდაჭერა. ჩვენი საერთო ამოცანაა განვამტკიცოთ მშვიდობა, გზა გავუხსნათ მდგრად დემოკრატიულ განვითარებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და შევძლოთ იმ უდიდესი პოტენციალის სრულად გამოყენება, რომელიც ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს აქვს, — აღნიშნა ივანიშვილმა.

მისი განცხადებით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისა და დემოკრატიული განვითარების გზაზე ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ალტერნატივა არა აქვს.

— ჩვენი ქვეყნისთვის ნატოში გაწევრიანება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა 10 წლის წინ, 2003 წელს, საყოველთაო გამოკითხვით დაადასტურა და ქართველი ხალხის ამ ნებას ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უგულებელყოფს, ვერ გადაუხვევს ამ გზიდან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო გაერთიანება, ეს არის დიდი პოლიტიკური და ღირებულებითი ერთობის მატარებელი ალიანსი და, სწორედ ამიტომ, არის ნატო ჩვენი კარგად გაცნობიერებული არჩევანი. ჩვენს ხალხს კარგად ესმის, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის ის ერთადერთი გზა, რომელიც ევროპული დემოკრატიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას. დასავლეთთან ინტეგრაცია საერთო ევროპული ოჯახისკენ მიმავალი გზაა, გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ოდითგანვე ადგას. საბედნიეროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით არც ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორისაა აზრთა სხვაობა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილი მათ ოფიციალურად აქვთ დეკლარირებული, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ საქართველოს არჩევანს ხორცი შეესხას. პრემიერმა ნატოს მადლობაც გადაუხადა იმის გამო, რომ მათ აგვისტოს ომის დროს საქართველოს მხარი დაუჭირეს. თავის გამოსვლაში პრემიერმა აგვისტოს ომიც შეაფასა და მას ეთნიკური წმენდა უწოდა.

— ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ მხარდაჭერას, რომელიც ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ თავისი ვიზიტით გამოხატა საქართველოსადმი ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, სექტემბერში საბჭო პირველად ეწვია საქართველოს და ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისთვის. 2008 წელი უმძიმესი იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული. 2008 წლის აგვისტოში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული იქნა ჩადენილი სასტიკი დანაშაული — ეთნიკური წმენდა, რაც აფხაზეთში 90-იანი წლების კონფლიქტებისას განხორციელდა. ეს დადასტურებულია არა ერთ საერთაშორისო დოკუმენტსა თუ განცხადებაში. არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტში გადაუდებელ ამოცანადაა დასახული აგრეთვე დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა, თუმცა ჩვენი ქვეყნისთვის ეს მოუშუშებელი იარაა, — თქვა „ქართული ოცნების“ ლიდერმა.



ქვეყნის პირველ მეოცნებეს რუსეთთან თბილი ურთიერთობების გამო ხშირად საყვედურობენ. პრემიერი ყოველთვის ხაზს უსვამდა რუსეთთან დიალოგის აუცილებლობას. ამ თემაზე მან გუშინ კიდევ ერთხელ ისაუბრა.

— ჩვენ, ჩვენი მხრივ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის განუხრელად გატარების პარალელურად, ახალი კომპონენტი შევიტანეთ ჩვენს საგარეო პოლიტიკაში და გამოვთქვით რუსეთთან დიალოგის დაწყების მზადყოფნა. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ჩემი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნამ საშუალება მოგვცა, კონკრეტული პრაგმატული ნაბიჯები გადაგვედგა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, ეკონომიკური და კულტურული კავშირები. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჟენევის მოლაპარაკებები არის ერთადერთი ფორმატი რუსეთთან კონფლიქტის შესახებ მოლაპარაკებების საწარმოებლად და ჩვენ ამ პროცესის ერთგული ვიქნებით. თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველო დამოუკიდებლად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობას და აღარ საჭიროებს პარტნიორების მხარდაჭერას. გვჯერა, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია მისცემს ჩვენს ქვეყანას გაცილებით დიდ შესაძლებლობებს, ააშენოს დემოკრატიული ინსტიტუტები, უზრუნველყოს თავისუფლება და უსაფრთხოება, ასევე მისცემს მას საშუალებას, დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი ევროპულ ოჯახში. ეს სასარგებლო იქნება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. ამ პროცესში ჩვენ განვაგრძობთ არსებული მექანიზმების ნატო-საქართველოს კომისიისა და წლიური ეროვნული პროგრამის სრულ და ეფექტიან გამოყენებას, — აცხადებს ივანიშვილი.

სემინარის მონაწილეებს ივანიშვილმა შეახსენა, რომ საქართველო აისაფის მისიაში მონაწილეობს. პრემიერის განცხადებით, ქართველი სამხედროები ავღანეთში 2014 წლის შემდეგაც დარჩებიან.

— საქართველომ აგრეთვე დაადასტურა, რომ შესწევს უნარი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში. 1600-კაციანი შემადგენლობით, საქართველო ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის აისაფში სამხედრო კონტინგენტის უმსხვილესი კონტრიბუტორია და ჩვენ დავრჩებით ავღანეთში ნატოს ახალი მისიის ფარგლებში 2014 წლის შემდეგაც. ჩვენ ვთავაზობთ მოკავშირეებს საქართველოს ინფრასტრუქტურას ავღანეთიდან მომავალი ჯარებისა და ტვირთის ტრანზიტის უზრუნველსაყოფად. საქართველო უზრუნველყოფს უმოკლეს, ყველაზე ხელსაყრელ და რენტაბელურ მარშრუტს, — ამბობს მთავრობის თავმჯდომარე.

მისი განცხადებით, ევროატლანტიკური ინტეგრაცია ორ ძირითად ვალდებულებას გულისხმობს — ეს არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარება და კონტრიბუცია საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. პრემიერის თქმით, საქართველო ორივე მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. მან სიამაყით ისაუბრა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე და არც ის დავიწყნია, რომ ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოს კონსტიტუციურ ფარგლებში პირველად შეიცვალა ხელისუფლება. ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელსაც მთავარ მიზნად დასახული აქვს ჩვენი ხალხის დემოკრატიული მისწრაფების რეალური განხორციელება. ჩვენი მიზანია ავაშენოთ ნამდვილი დემოკრატია და ხელი შევუწყოთ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. დასავლეთში ჩვენ მარტო ის კი არ გვხიბლავს, რომ თქვენ საოცრად წარმატებულად დაამყარეთ და შეინარჩუნეთ მშვიდობა, არამედ ისიც, რომ თქვენთვის თავისუფალი ადამიანი გახდა მთავარი ღირებულება. დასავლეთმა შეძლო გამკლავებოდა და აღეკვეთა ყველა ის რადიკალური სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური თუ რელიგიური იდეოლოგია, რომლებსაც შეიძლებოდა შესწირვოდა ადამიანის უფლებები. ამასთან, თქვენ კარგად იცით, როგორ უნდა ტრადიციების დაცვა და გაფრთხილება, რაც ასევე მნიშვნელოვანია ქართველებისთვის. თქვენ მიისწრაფვით და იღწვით ისეთი მსოფლიოსთვის, სადაც ერთფეროვნება კი არ დაისადგურებს, არამედ შენარჩუნდება მრავალფეროვნება. საქართველოს საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი ისტორია აქვს. ჩვენ დღესაც რთულ რეგიონში ვცხოვრობთ. ჩვენ წინაშე გლობალიზებული და სწრაფადგანვითარებადი მსოფლიოს უამრავი გამოწვევა დგას. გზის გასაკვლევად ჩვენ გვჭირდება ფხიზელი, რაციონალური აზროვნება და ბეჯითი შრომა. ჩვენ საერთო ღირებულებები გვაქვს და ერთად უნდა დავიცვათ ისინი! ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ. ეს მოთხოვნა, დამეთანხმებით, სამართლიანია, მაგრამ ასევე სამართლიანია ყოფილი ხელისუფლების ათასობით უბრალო მოხელის სურვილი, თავისუფლად და ღირსეულად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის ნამდვილად დემოკრატიულ განვითარებაში. რამდენადაც რთული არ უნდა იყოს, ჩვენ სწორად და სამართლიანად უნდა გავიაროთ ეს გზა. დღეს ჩვენი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქვეყანაში პროცესები მშვიდობიანად განვითარდეს, ცდილობს თანაარსებობას ყოფილ მმართველ ძალასთან. ეს პროცესი არ არის ადვილი, რადგან ამ თვალსაზრისით არა ერთ წინააღმდეგობას ვაწყდებით. თუმცა, ეს არც გასაკვირია, რადგან ასეთი პოლიტიკური პროცესები რთულია არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ დიდი დემოკრატიული გამოცდილების მქონე სახელმწიფოებისთვისაც კი. და მაინც, მიუხედავად სირთულეებისა, ნელ-ნელა პოზიტიური დინამიკა და კონკრეტული შედეგები შეიმჩნევა. ამის ნათელი დადასტურებაა პოლიტიკურ ძალებს შორის მიმდინარე დიალოგი, ერთობლივად მიღებული საპარლამენტო რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, დაბოლოს, ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებსაც პარლამენტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. ჩვენ ვატარებთ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმებს. უკვე გვაქვს წინსვლა ამ რეფორმების განხორციელების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის კეთილდღეობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული რეფორმა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ვახორციელებთ, ეს არის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა. წამოწყებული რეფორმა ეყრდნობა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ასახავს ვენეციის კომისიისა და საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წინადადებებს. საქართველოს პარლამენტმა ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით მიიღო კანონი სასამართლოების შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ხალხი მიიღებს დამოუკიდებელ სასამართლოს, რომელიც თავისუფალი იქნება აღმასრულებელი შტოს ზემოქმედებისა თუ სხვა სახის პოლიტიკური ზეგავლენისაგან. ჩვენ მშვენივრად ვიცით სიტყვის თავისუფლების ფასი და ამიტომაც ჩვენი ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მედიის დამოუკიდებლობას. ამ მხრივ სასიკეთო ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ყველასთვის აშკარაა, რომ ახალი ხელისუფლება არ ერევა დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მუშაობაში, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სემინარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც ესწრებოდა. მან სემინარის მონაწილეებს კითხვით მიმართა, თუ როდის გაიღება კონკრეტულად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი საქართველოსთვის.

— ერთ მნიშვნელოვან მომენტს გავიხსენებ. ჯერ კიდევ 10 წლის წინ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნატოსკენ სწრაფვა დაიწყო. 5 წლის წინ კი, სააკაშვილმა შეგვატყობინა, რომ ეს კარი ღია იყო. ახლა კი, პრემიერ-მინისტრს და მე გვაქვს კითხვა — როდის გაიღება ნატოს კარი საქართველოსთვის. ძალიან გთხოვთ, გვიპასუხოთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თანამშრომლობისთვის მზად ვიყოთ. შემიძლია ამაყად გითხრათ, რომ ახალმა პარლამენტმა ძალიან ბევრი სირთულეების მიუხედავად, საპარლამენტო რეზოლუციაში საგარეო ურთიერთობების კუთხით ცვლილებების შეტანა შეძლო და ამ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტში, ჩვენ კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი ჩვენს სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საწინდარია“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

## ყაჩაღური დაჯგუფების წევრები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფური ყაჩაღობის ფაქტზე ოთხი პიროვნება – წარსულში ნარკოდანაშაულისა და ყაჩაღობისათვის ნასამართლევი გიორგი ვ, წარსულში ხულიგნობისთვის ნასამართლევი ანზორ შ, წარსულში მკვლელობისთვის ნასამართლევი მიხეილ პ. და დავით ა. ცხელ კვალზე დააკავეს.

როგორც „ნიუსპრესს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, ბრალდებულები რუსთავში, დავით-გარეჯის ქუჩაზე, მარკეტ „გარეჯში“ შეიჭრნენ და ცივი იარაღის მუქარით გამყიდველს ფული მოსთხოვეს.

სამართალდამცველებმა ორი ბოროტმოქმედი შემთხვევის ადგილზე, ხოლო დანარჩენი ორი – მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. დაკავებისას, სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევისას ერთ-ერთი თავდამსხმელი გიორგი ვ. ფეხის არეში დაიჭრა. გამოძიება ჯგუფური ყაჩაღობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც 6-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

## გია ბარამიძე: „გაცოფებული ვარ“

შორენა მარსაგიშვილი

რუსული მედია და სპეცსამსახურები უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების გაწვრთნა ხდება. 2 წლის წინ, ეს ინფორმაცია საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმაც დაადასტურა.

ტერორისტების მომზადების თემა აქტუალური ლაფანყურში ჩატარებული სისხლიანი ოპერაციის შემდეგ გახდა. საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ საქართველოში ხდებოდა ჩეჩენი მებრძოლების მომზადება.

ამას ნაციონალების მხრიდან დიდი წიოკი მოჰყვა. მათი ხმაური მაშინ უნდა გენახათ, როცა ტერორისტების მომზადებაზე განცხადება ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა. განსაკუთრებით პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ბარამიძეა აღშფოთებული.

ვიცე-სპიკერი პრემიერის პასუხებმა გააცოფა.

— როდესაც ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს, რომ რუსეთმა თურმე ომი კი არ დაიწყო, არამედ სხვანაირად მომხდარა და თურმე ტალიავინის დასკვნაში ეს ასე არ არის და სხვანაირადაა, ეს, როგორც მინიმუმ, არის ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო და ქვეყნის მიმართ ძალიან სახიფათო განცხადება. მე დავსვი



შეკითხვა იმაზე, რაში დასჭირდა პრემიერ-მინისტრს, საკუთარი ქვეყანა დაადანაშაულოს ტერორიზმის მხარდაჭერაში და ამის საპასუხოდ მივიღე მეორე თემაზე კიდევ უფრო უარესი პასუხი. მე, უბრალოდ, ვარ გაცოფებული, — განაცხადა გია ბარამიძემ.

გია ბარამიძის კითხვაზე, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ და რამდენად სწორია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ადანაშაულებს საკუთარ ქვეყანას ტერორიზმის მხარდაჭერაში და რამდენად იქნება ეს გამოყენებული რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით? პრემიერმა ასეთი პასუხი გასცა:

— ტერორიზმთან თანამშრომლობაზე პირდაპირი აქცენტი არც ერთ ჩემს განცხადებაში არ გამიკეთებია; წინა ხელისუფლების ტერორისტებთან თანამშრომლობასა და აქტიურობაზე მე გამოვთქვი ჩემი ეჭვი და დღესაც ვასაბუთებ, ეჭვის საფუძველი ძალიან დიდია, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ვამტკიცებ ამას და არ აქვს ამას მტკიცებულების ფორმა. მიმდინარეობს გამოძიება. ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ლაფანყურის თემაზე. ეჭვი არ არის, მტკიცებულება და ეჭვის საფუძველი მე გამაჩნია. რაც შეეხება ამ მხრივ ჩემს გამონათქვამებს და საქართველოს ინტერესების დაზიანებას რუსეთთან თუ ნატოსთან, მე გარწმუნებთ თქვენ და საზოგადოებას, რომ არც ერთ შემთხვევაში ეს არ დააზიანებს საქართველოს ურთიერთობას გლობალურად და მათ რიცხვში ნებისმიერ კერძო სახელმწიფოსთან. რამეთუ ჩვენ უნდა მოვახერხოთ და ვიცხოვროთ სამართლიან გარემოში და სიმართლეზე უნდა იყოს დაფუძნებული ჩვენი მოღვაწეობა. ქვეყნის იმიჯს უფრო დააზიანებს, თუ ამით მესამე ქვეყანა დაინტერესდება; გაცილებით უარესია, ჩვენ გამოვიძიოთ ყველაფერი, სიმართლე ვისაფროთ და ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის იმიჯზე გაცილებით უკეთესად აისახება.

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

# „მაგთიკომი“ რუსთაველის თეატრის „პლატინუმ“ სპონსორი გახდა

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრსა და კომპანია „მაგთიკომს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიხედვით — „მაგთი“ თეატრის „პლატინუმ“ სპონსორად გამოცხადდა; „მაგთის“ აბონენტები ფასდაკლებით მიიღებენ „რუსთაველის“ სპექტაკლების ბილეთებს და კომპანია ხელს შეუწყობს საინტერესო პროექტების, თეატრის არსებობისთვის საჭირო და შემოქმედებისთვის აუცილებელი საქმიანობის წარმართვას.**



ეს მოვლენა რუსთაველის თეატრის სამეჯლისო დარბაზში თეატრის მსახიობების, ადმინისტრაციის, „მაგთის“ წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების თანდასწრებით აღინიშნა.

ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმს ხელი მოაწერეს „მაგთიკომის“ პრეზიდენტმა დევიდ ლიმ და რუსთაველის თეატრის მმართველმა, რეჟისორმა რობერტ სტურუამ.

სანამ ხელშეკრულებას გააფორმებდნენ, რობერტ სტურუამ და დევიდ ლიმ (სხვათა შორის, ქართულად) მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ერთმანეთს და საზოგადოებას, გამოხატეს პოზიცია ორივე მხარისთვის მნიშვნელოვან სიახლესთან დაკავშირებით და წამოწყებას, „მაგთიკომსა“ და რუსთაველის თეატრს წარმატებები უსურვეს.

**რობერტ სტურუა:** „მემორანდუმი მაყურებლებს მისცემს საშუალებას უფრო ხშირად იარონ თეატრში. გარდა ამისა, „მაგთი“ დაგვიფინანსებს სპექტაკლებს. დიდი ხანია, მინდა „ვეფხისტყაოსანის“ დადგმა, მაგრამ ფინანსური მხარდაჭერა არ გვქონდა. ვფიქრობ, განხორციელებაში ახლა „მაგთისთან“ დადებული ხელშეკრულება დაგვეხმარება. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი შეღავათია. კომპანია სპექტაკლების ქვეყნის გარეთ გატაშიც დაგვეხმარება.

**დევიდ ლი:** „ვიცნობ ქართულ კულტურას, კინოს, თეატრს, მუსიკას. ქართულ ხელოვნებას იცნობენ და მოსწონთ მთელ მსოფლიოში. ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა ძალიან საინტერესო იქნება. ბედნიერი ვარ, რომ „მაგთიკომი“ რუსთაველის თეატრის პარტნიორი გახდა. ჩვენ ერთად გავაკეთებთ ქართულ საქმეს“.

ბილეთებზე ფასდაკლებით სარგებლობა „მაგთის“ ნებისმიერ აბონენტს შეეძლება, ნომერზე **5005** მოკლე ტექსტური შეტყობინების (რომლის ღირებულება იგივეა, როგორიც ჩვეულებრივი „ესემესის“) გაგზავნის შემდეგ, სასურველი სპექტაკლის წამოდგენის დღეს. ამის მერე მომხმარებელი მიიღებს უნიკალურ კოდს, რომელსაც სალაროში წარადგენს და ბილეთს **50** პროცენტიანი ფასდაკლებით შეიძენს.

„რუსთაველის“ დირექტორს გია თევზაძეს, მემორანდუმი, პირველ რიგში, იმით ახარებს, რომ ინიციატივა თეატრის მაყურებლის რაოდენობას გაზრდის, რადგან ბოლო პერიოდში მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და ეს სერიოზული პრობლემაა.

**გია თევზაძე:** „ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ისეთი კომპანია, როგორიც „მაგთია“, რუსთაველის თეატრის „პლატინუმ“ სპონსორი ხდება. ვფიქრობ, ურთიერთობები, რომლებიც ჩვენს შორის დამყარდება, წაადგება როგორც თეატრს, ისე, „მაგთიკომს“.

*— „მაგთი“ ხელს შეუწყობს კონერეტულ პროექტებს თუ სხვა უფრო მასშტაბიან ღონისძიებებსაც?*

— მე ვფიქრობ, კონკრეტულ და უფრო დიდმასშტაბიან პროექტებსაც. სპონსორის სახელი „პლატინუმ“ ანუ დონე, გენერალურზე უფრო დიდია და ვფიქრობ, უფრო სერიოზული დაფინანსებები შეძლება იყოს, მაგრამ ჯერჯერობით პროექტებით დავიწყებთ. თუმცა, ნებისმიერ პროექტზე უფრო მნიშვნელოვანი თეატრში მეტი მაყურებლის მოზიდვა იქნება, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, გვაკლია.

სამეჯლისო დარბაზში ნამდვილად საზეიმო და კეთილი მომავლის იმედით აღსავსე განწყობა სუფევდა. დამსწრეთა შორის, თითქმის ყველა „მაგთიკომის“ ერთგული აბონენტი იყო, რომლებიც კმაყოფილი არიან კომპანიასთან თანამშრობლობით და მომავალში კიდევ უფრო ღრმა და მასშტაბური, უკვე სხვა კატეგორიის ურთიერთობის – ამჯერად შემოქმედებით სფეროში – იმედი აქვთ.

*— რა მნიშვნელობას ანიჭებთ მემორანდუმს?*

**ლელა ალიბეგაშვილი (მსახიობი):** „პირველი და მთავარი, რაცშემიძლია ვთქვა, რომ „მაგთისთვის“ არასოდეს მიღალატია. რატომ? იმიტომ, რომ კმაყოფილი ვარ მომსახურებით, თორემ სხვა კომპანიაში გადავიდოდი.

ახლა, ალბათ, კიდევ უფრო დავმეგობრდებით. მადლობის მეტი რა გვეთქმის. ჩვენ, რუსთაველის თეატრს, უფასო მომსახურება გვაქვს და „მაგთი“ ჩვენი თეატრის მომავალსაც შეუწყობს ხელს“.

**ნინო არსენიშვილი (მსახიობი):** „მეც ძალიან დილი ხანია, „მაგთიკომის“ აბონენტი ვარ და ძალიან სასიამოვნოა, რომ მემორანდუმი ასეთ სერიოზულ კომპანიასთან დაიდო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „მაგთი“ ყველანირად ხელს შეგვიწყობს, რომ შეიქმნას უფრო მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომ დეკორაციის, კოსტუმის და ა.შ. სასურველი ხარისხის მიღებით, რეჟისორების ხელშეწყობით, ჩანაფიქრის სრულფასოვნად განსახორციელებლად, დადგმების ხარისხიც ამაღლდეს.



დიდ მონიტორზე, მემორანდუმის ანუ თავთავიანთ სფეროში ორი წამყვანი ორგანიზაციის ურთიერთობისა და ორგანული სინთეზის ამსახველი ახალი სარეკლამო კლიპი ტრიალებდა. „რუსთაველის“ დიდებულ ინტერიერში, ლაბირინთებში თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ია სუხიტაშვილი გასასვლელს ეძებს და ეს გამოსავალი „მაგთია“ – რომელიც სამყაროსა და ადამიანებს შორის კავშირის დამყარებასა და ნებისმიერი ვითარებიდან გამოსავალის პოვნაში ეხმარება.

„მაგთიმ“ კიდევ ერთხელ, „პლატინუმ“ სპონსორობის ტვირთის აღებით, საქართველოს უპირველისი თეატრის მხარში ამოდგომით, დაამტკიცა, რომ მართლა „ქართულ საქმეს აკეთებს“ და კიდევ ერთხელ საჯაროდ, პრაქტიკაზე დაადასტურა, რომ ეს ცარიელი ლოზუნგი თუ სარეკლამო სლოგანი არაა.

ლელა ვაჩნაძე

# თეა თუთბერიძე: „ივანიშვილი და მერაბიშვილი ერთმანეთს გაურიგდნენ“

შორენა გონგლაძე

„თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თეა თუთბერიძე ეჭვობს, რომ ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს გაურიგდა.

ამასთან დაკავშირებით თუთბერიძემ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. თუთბერიძე ეჭვობს, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილის დახმარებით მოხვდა მზის სინათლეზე ციხესთან დაკავშირებული კადრები, რომელმაც ფაქტიურად პირველი ოქტომბრის არჩევნების ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. „საინტერესოა, როგორ მოხდა ციხის სკანდალური კადრების გავრცელება საზოგადოებაში ისე, რომ ქვეყნის მთავარ ხერხემალს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, მაშინ, როდესაც ვინ, ვისთან იწვა, ეს კონტროლდებოდა? — კითხულობს თუთბერიძე.

ერთი მხრივ, თუთბერიძის კითხვაც და პასუხიც ლოგიკასთან ახლოსაა, ამ ვერსიას მერაბიშვილი-ახალაიას აქამდე ფარული დაპირისპირება უმყარებს პოზიციებს, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ კადრების გარეთ გამოტანა ძალიან მარტივი გზით მომხდარიყო. ასეა თუ ისე, ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება. თუთბერიძის ამ განცხადებაში კი ასევე თვალნათელია მერაბიშვილისა და ივანიშვილის ფარული სიმპათიები, არც ეს ვერსიაა რეალობას მოკლებული, დღემდე ბევრი ფაქტი მოწმობს, რომ „ჩემი ვანო“ დღემდე ცვეტშია. ამ ტანდემს საბოლოო სრულყოფილების მისაღწევად კი ერთი რამ უშლის ხელს, ივანიშვილის და მისი გუნდის წინასაარჩევნო დაპირება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. მართალია სამართლიანობის აღდგენის იმედები საზოგადოებაში საკმაოდ გაუფერულდა, თუმცა ცხადია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას მთლად მშრალზე გამოსვლაც ვერ გამოუვა. როგორც ჩანს, ნაციონალური ბანდის ცხრაწლიან დანაშაულზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით მხოლოდ





ბაჩო ახალაიას უწევს. დღევანდელი მდგომარეობით ფაქტია, რომ ბაჩო ახალაია ნაციონალებმა გაწირეს, ოცნებასთან უკვე ჩახუტებულ და კოაბიტირებულ ნაციონალებს სიმშვიდეს თავისუფლებაზე მყოფი დათა ახალაია უფრთხობს. ის, რომ ნაციონალებისთვის ახალაიას ბედ-იღბალი პრიორიტეტს არ წარმოადგენს, მათი აქტიურობიდანაც ჩანს. მაგალითისთვის, გუშინ ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის მიერ სოციალური ქსელით გავრცელებული განცხადებაც საკმარისია, სადაც ის წერს, რომ ბაჩო ახალაიას ადვოკატს, რომეო საჯაიას, სანამ მოწმის დაკითხვა დაიწყებოდა, მოსამართლემ აუკრძალა კითხვების დასმა. რამდენიმე დღის წინ რომეო საჯაიას დაურეკეს უშიშროების თანამშრომლებმა, დაიბარეს იგი პროკურატურაში და გააფრთხილეს, რომ ის ძალიან აქტიურობდა ახალაიას პროცესზე და მოსთხოვეს, რომ დაწყნარებულიყო. ტრადიციულად, ნადარეიშვილის ეს განცხადებაც მხოლოდ ნიუსის დონეზე დარჩა, ნაციონალების მხრიდან არ გაკეთებულა არც ერთი განცხადება ამ ფაქტთან დაკავშირებით. რაც შეეხება ადვოკატის დავერბოვკების ფაქტის ნამდვილობას, ეს, ალბათ, არც უნდა დავაყენოთ ეჭვქვეშ, რადგანაც მსგავსი დაბარება-დარიგებები ქართული დემოკრატიის ყოველთვის თანმდევი პროცესია.

რაც შეეხება თუთბერიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, მერაბიშვილ-ივანიშვილს შორის ფარულ კოჰაბიტაციასთან დაკავშირებით, თუთბერიძის თქმით, ეჭვებს ამასთან დაკავშირებით ისიც ამყარებს, რომ მერაბიშვილმა სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა ივანიშვილის „უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებას საქართველოში „ბოევიკების“ არსებობასთან დაკავშირებით“ თუთბერიძის განცხადებით, პრესკონფერენციაზე მერაბიშვილმა ივანიშვილის ამ განცხადების „გაპრავება“ რამდენჯერმე სცადა.

— ამ რამდენიმე დღის წინ ივანიშვილმა ისაუბრა იმაზე, თუ რა კავშირები შეიძლება ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში ტერორიზმის მფარველობასთან დაკავშირებით. ივანიშვილის ეს განცხადება ანტისახელმწიფოებრივი და უპასუხისმგებლოა. ყველაზე საინტერესო კი ამ განცხადებაზე „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის განცხადებაა. მერაბიშვილი გამართლებას ცდილობს პრემიერის ამ გამონათქვამის, ის ამბობს, რომ „ბოევიკების“ მომზადება არის სიცრუე, მაგრამ სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენება ეს არის გამოუცდელი პოლიტიკოსის განცხადება, — აცხადებს თუთბერიძე და დასძენს, რომ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მხრიდან მსგავსი ტიპის ლოიალობა შეიძლება იყოს შეფასებული იმით, რომ მერაბიშვილი ან ვერ ხვდება, ან მას აქვს გარკვეული პრობლემები რომ სწორად და ადეკვატურად შეაფასოს ივანიშვილის გამოსვლა.

— თუ რა დღეში შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყანა, ეს თავდაცვის მინისტრის განცხადებიდანაც კარგად ჩანდა, მაგრამ სამწუხაროდ, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ვანო მერაბიშვილის მხრიდან არაადეკვატური რეაქცია მოყვა პრემიერის ამ განცხადებას, მან ნაციონალური მოძრაობის ოფისში ჩაატარა პრესკონფერენცია, რა დროსაც ის შეეცადა გაემართლებინა ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება. მან ივანიშვილის განცხადებას სადაც ის საქართველოში „ბოევიკების“ მომზადებაზე საუბრობს, უწოდა გამოუცდელი პოლიტიკისის განცხადება. მან ორჯერ გაუსვა ხაზი ივანიშვილის გამოუცდელ პოლიტიკოსობას. ეს ლოილურობა ორი რამით შეიძლება იყოს ახსნილი, პირველი, თავად ბატონი ვანოც ალბათ ვერ ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანი არის ეს საკითხები საქართველოსთვის ან კიდევ მას აქვს ისეთი პრობლემები, რაც ხელს უშლის, გაჭრილად დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ბიძინა ივანიშვილის ამ ანტისახელმწიფოებრივ და ქვეყნის ინტერესების დამაზარალებელ განცხადებასთან დაკავშირებით. მსგავსი განცხადება რომ გაეკეთებინა ოპოზიციის სხვა რომელიმე წარმომადგენელს, ეს კიდევ უფრო გასაგები იქნებოდა, მაგრამ ოპოზიციის ლიდერის მხრიდან მსგავსი ტიპის ლოიალობა არ შეიძლება სხვაგვარად იქნეს შეფასებული. — აცხადებს თუთბერიძე.

# კახა კახიშვილი: „პრეზიდენტობის კანდიდატი ალბათ კახი კალაძე იქნება“

ექსპერტ კახი კახიშვილი ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის საპრეზიდენტო კანდიდატურას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ რეალურად კახი კალაძე „ქართული ოცნების“ სახეა



როგორც ექსპერტმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, იმ კონსტიტუცია , რომელიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება, პრეზიდენტი უნდა იყოს არბიტრი. რეალურად არ უნდა ასოცირდებოდეს კონკრეტულად რომელიმე პარტიასთან და თან ძირითადად საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი წარმომადგენლობითი ფუნქცია ექნება.

კახიშვილის ინფორმაციით, კოალიციაში რამდენიმე კანდიდატი იხილება, თუმცა ალბათ საბოლოო კანდიდატი საკუთრივ „ქართული ოცნებიდან“ კალაძე იქნება.

„ჩვენ ვიცით, მისი ახლო ურთიერთობა პრემიერთან. თავიდან სკეპტიკურად აღვიქვით მისი ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნა. რამდენიმე ხნის შემდეგ მე მქონდა კალაძესთან შეხვედრა და სიმართლე გითხრათ გაოცებული დავრჩი ამ ადამიანის მომზადების ხარისხით. ისეთ თემებზე ვისაუბრეთ და ისე სიღრმისეულად ისაუბრა, ჩანდა რომ გარკვეულია ამ საკითხში. რაც შეეხება კალაძის კონკურენტს ნაციონალური მოძრაობიდან , გვახსოვს როცა პრეზიდენტმა პარტიის მდგომარეობა შეაფასა და განაცხადა, რომ იყვნენ ნოკდაუნში. ჩემი შეფასებით კი, იყვნენ ნოკაუტში. პრეზიდენტმა ილაპარაკა გადაჯგუფებებზე, რებრენდიგზე რაც აუცილებელიცაა იმისათვის, რომ ნაცმოძრაობამ თავი დაიმკვიდროს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს მეჩვენება, რომ ისინი ხელოვნურად არიან პოლიტიკურად აქტიურნი“,— განაცხადა კახიშვილმა.

მედიანიუსი

# მაია ფანჯიკიძე: „სიმპათიური და გაწონასწორებული პრეზიდენტობის კანდიდატი გვჭირდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჭოში და როგორც ვიცი, არც იქ არანაირი წინააღმდგეობა არ ყოფილა, – განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ აღნიშნული დოქტრინის დამტკიცებას პრეზიდენტის ხელმოწერა აკლია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჟურნალისტებს აინტერესებდათ, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებას ეხება, კონკრეტულად რუსეთის ჩართვას საგამოძიებო პროცესებში, რაზეც მინისტრი აცხადებს – წარმოუდგენელია.

მინისტრის თქმით, რუსეთი არ არის ნეიტრალური მხარე, არამედ ის არის კონფლიქტის მონაწილე და ამ ეტაპზე რაიმე ტიპის თანამშრომლობა მასთან შესაძლებელი არ არის.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვის მონიტორინგს, ამასთან დაკავშირებით, შვეიცარულ კომპანიასთან კონტრაქტი მაისის ბოლოს გაფორმდება.

ფანჯიკიძის განცხადებით, კომპანია, რომელმაც ტვირთბრუნვის მონიტორინგი უნდა განახორციელოს, შერჩეულია, თუმცა მონიტორინგი ჯერ არ დაწყებულა და ხელშეკრულების გაფორმება მაისის ბოლოს იგეგმება.

როგორც ცნობილია, 2011 წლის 9 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შვეიცარიის კონფედერაციის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებმა დოკუმენტების პაკეტს მოაწერეს ხელი. პირველი საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ ორმხრივი შეთანხმებაა, მეორე – ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც შვეიცარიის, როგორც ნეიტრალური მესამე მხარის როლს განამტკიცებს. მესამე: სამივე მხარემ – საქართველომ, რუსეთმა და შვეიცარიამ გაცვალეს დოკუმენტები იმ საერთაშორისოდ აღიარებული ნეიტრალური კერძო კომპანიის მოქმედების პირობების განსაზღვრის მიზნით, რომელსაც მონიტორინგის განხორციელების მანდატს შვეიცარიის მთავრობა მიანიჭებს.

ჟურნალისტებმა საგარეო უწყების ხელმძღვანელს პრემიერის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირება სთხოვეს.

ფანჯიკიძის განცხადებით, მას ვერ წარმოუდგენია, რომ საქართველოს რაიმე ისეთი განეხორციელებინა, რაც ქვეყანას ზიანს მიაყენებს.

– გაკეთებული განცხადებები კი ვერც დააზიანებს და ვერც დივიდენდებს მოუტანს ქართულ მხარეს, შესაბამისად, ვერანაირ წინააღმდეგობას მთავრობის წევრების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებში



ვერ ვხედავ. პრემიერმა აღნიშნა, რომ ბევრ საკითხზე არსებობს კითხვები. ლაფანყური არის ერთ-ერთი, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს. მას არ უთქვამს, რომ საქართველოში ტერორისტებს ამზადებდნენ. პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ სჯობს, თავად გამოვიძიოთ და გამოვასწოროთ, თუ რაიმე გამოსასწორებელია, ვიდრე ეს სხვამ გააკეთოს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევროპულ ქარტიაზეც ისაუბრა.

– რეგიონულ ან უმცირესობათა ენების შესახებ ქარტიაში საუბარია უმცირესობათა ენებზე და არა – ენობრივ უმცირესობებზე. ეთნიკური უმცირესობების ენების განვითარების კუთხით საქართველო მეტსაც აკეთებს, ვიდრე ქარტიით არის გათვალისწინებული. რაც შეეხება მეგრულს და სვანურს, ვფიქრობ, აქ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე და მე მგონი, მათ არ ემუქრებათ საკუთარი ენის გაქრობა და ეს უფრო ენათმეცნიერების საქმეა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, თბილისში რუსეთის საელჩოს შენობის რემონტი მიმდინარეობს. ფანჯიკიძე რუსეთის საელჩოს შენობაზე რეაბილიტაციის დაწყებას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობას არ უკავშირებს.

– რუსეთის საელჩოს შენობა რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის. ნებისმიერი საკითხი თუ პრობლემა, რაც საქართველოში რუსეთის საელჩოს და რუსეთში საქართველოს საელჩოს შენობას ეხება, რეგულირდება შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს რუსეთის ინტერესთა სექციის გავლით. თუ რუსეთის საელჩოს შენობის რეაბილიტაცია მოითხოვა რაიმე განსაკუთრებულმა მოვლენამ, ეს ნორმალურია. შვეიცარიის საელჩოს გავლით, ჩვენ ინფორმირებული ვართ და ამაში არანაირი კანონდარღვევა არაა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ჟურნალისტებმა მაია ფანჯიკიძეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის გია ბარამიას სალონიკში გენერალური კონსულად დანიშვნის შესახებ ჰკითხეს. ასევე გავრცელებული ინფორმაციით სალონიკში მცხოვრები ქართველები ბარამიას კონსულად დანიშვნას საპროტესტო აქციით შეხვდებიან. ფანჯიკიძის განცხადებით, მას ძალიან გაუკვირდება, თუ წინა ხელისუფლებას გია ბარამიასთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული გამოეპარა.

– მართალია, ბატონი ბარამიას კანდიდატურა განიხილება საქართველოს გენერალური კონსულის თანამდებობაზე სალონიკში. ის არაა ერთადერთი კანდიდატი, არჩევანი გაკეთდება რამდენიმე კანდიდატს შორის. გია ბარამიას აქვს დიპლომატიური გამოცდილება და სწორედ სალონიკში გენერალურ საკონსულოში მუშაობდა. თუ არსებობს რაიმე ინფორმაცია მის შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა იცოდეს, მე მადლობელი ვიქნები ჩვენი ემიგრანტების, თუ ამ ინფორმაციას მოგვაწვდიან. სალონიკში 300.000 ქართველი ცხოვრობს და გენერალური საკონსულო მათ ინტერესებს უნდა იცავდეს და კონსული მათ შორის ნდობით სარგებლობდეს. არაფერი კონკრეტული ამ მიმართულებით ჩემთვის ცნობილი არაა. გია ბარამიას ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა წინა მთავრობის პირობებში და მე ძალიან გამიკვირდება, თუ წინა ხელისუფლებას რაიმე სერიოზული გამოეპარა, – განაცხდა ფანჯიკიძემ, თუმცა დასძინა, რომ ძალიან ხშირად უსაფუძვლო ბრალდებები ისმის ადამიანების მიმართ, რომელიც შემდეგ ტყუილი აღმოჩნდება.

მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ დაინტერესდება იმ ხალხის მოთხოვნებით, რომლებიც ბარამიას დანიშვნას ეწინააღმდგებიან.

# ირაკლი ალასანია: „ვეცდებით, სასამართლოს დეპოლიტიზებას საფრთხე არ შეექმნას“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმას სასამართლოს დეპოლიტიზებისკენ მიმართულ ნაბიჯად აფასებს.

როგორც ალასანიამ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის როუზ-როსის 83-ე სემინარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მართლმსაჯულების რეფორმის შედეგად სასამართლო სრულად დამოუკიდებელი გახდება, რადგან ახალი ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობამ ამიტომ აირჩია.

„არჩევნებზე ჩვენ მხარი დაგვიჭირეს არა იმიტომ, რომ საყოფაცხოვრებო ნივთებზე მაღალი ფასები იყო, არამედ მართლმსაჯულების სისტემისადმი უნდობლობა არსებობდა. სასამართლოში იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც გენერალური პროკურორის სატელეფონო ზარის შედეგად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ამგვარი რამ რეფორმის შედეგად აღარ იარსებებს. პრეზიდენტმა სასამართლოების შესახებ კანონს ვეტო დაადო, თუმცა საპარლამენტო მუშაობა გრძელდება და ჩვენ ვეცდებით, რომ სასამართლოს დეპოლიტიზებას საფრთხე არ შეექმნას“, –– აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი კოჰაბიტაციის პროცესსა და ამ მხრივ არსებულ სირთულეებსაც შეეხო.

„ნელ-ნელა ცხრება საარჩევნო განწყობები, ორი ძალის თანაარსებობა და საერთო მოსაზრებების ირგვლივ გაერთიანება მეტად მნიშვნელოვანია. თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის მიმართულებებით თანხმობას უნდა მივაღწიოთ“, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

**მედიანიუსი**

# აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დაწესებულებები 114-მა მსჯავრდებულმა დატოვა

2013 წლის 26-28 მარტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან შესული 1000-მდე მსჯავრდებულის შუამდგომლობა განიხილეს.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო განმარტავს, ადგილობრივი საბჭოების დებულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად პირთა ინდივიდუალურად შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა, ოჯახური პირობები, მსჯავრდებულის პიროვნება, ასევე ინდივიდუალურად ფასდება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკები.

პრიორიტეტი მიენიჭათ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციის მხრიდან ხასიათდებიან დადებითად და სასჯელის სრულ მოხდამდე დარჩენილი აქვთ 6-თვემდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასჯელაღსრულების დაწესებულებები დატოვა 114-მა მსჯავრდებულმა, მათ შორისაა 17 ქალბატონი და 18 მძიმე ავადმყოფი.

რაც შეეხება არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი 2013 წლის 30 აპრილს, არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს ზეპირი მოსმენის სხდომაზე გადაწყდება.

**მედიანიუსი**

# ნიკო ხერკელაძე: „სანამ ნამუშევრებს წარმოვადგენდი, საიდუმლოებას ვინახავდი“

გულიკო ბალაძე

სამების ახალგაზრდულ ცენტრში მხატვრის, პუბლიცისტის, მწერლისა და მკვლევარის ნიკო ხერკელაძის საოცარი ნახატების გამოფენა გაიხსნა, შემოქმედებითი საღამო გაიმართა. მოეწყო მისი წიგნის – „ცრემლში ნალესი ხმალი“ – პრეზენტაცია, რომელიც გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მისი მოღვაწეობის შეფასებას მიუძღვნა.

საღამო მოაწყო საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეამ“ და ფაზისის საერო აკადემიამ. საღამოზე მოწვეული იყვნენ გამოჩენილი მხატვრები და მწერლები, რომლებმაც ძალიან მაღალ დონეზე შეაფასეს ნიკო ხერკელაძის მოღვაწეობა.

მრავალი წიგნია დაწერილი გიორგი სააკაძეზე, რომელშიც ამ პიროვნების როლი უარყოფითადაც არის შეფასებული, თუმცა ნიკო ხერკელაძემ თავის წიგნში გიორგი სააკაძე ცალსახად დადებით პიროვნებად წარმოაჩინა. როგორც საღამოზე ითქვა, ნიკო ხერკელაძე დაეყრდნო მის მიერ მოკვლეულ უტყუარ მასალებს.

– ნიკო ხერკელაძე გახლავთ პუბლიცისტი, მწერალი და მკვლევარი. მრავალი წიგნია დაწერილი დიდ მოურავზე, გიორგი სააკაძეზე. მასზე წერდნენ ლევან სანიკიძე, გივი ჯამბურია, ღვინჯილია და სხვები, მაგრამ ნიკო ხერკელაძემ შექმნა და, როგორც გალაკტიონი იტყოდა, სავსე ქართული პატიოსნებით შეაფასა დიდი მოურავის ფენომენი.

400 წელი გავიდა და გიორგი სააკაძის პიროვნებაზე ორჭოფობაა, მართლა გმირი იყო თუ არა. გიორგი სააკაძეზე მრავალი ლექსია შემნილი. მათ შორის, დიდი ვაჟა ფშაველას მიერ, რომელიც ქართველ ხალხს ეუბნებოდა, გიორგი სააკაძეზე ჭორები არ გვეკადრებაო.

**ნიკო ხერკელაძე:**

– ქსნის ხეობა ჩემთვის ბაბუაბებიების დაკოჟრილი ხელებია საფლავებს ამოფარებული. მისი შემოქმედების ზედაპირული გაცნობაც კი, საშუალებას გვაძლევს ფერწერული ტილოსა თუ მონუმენტური მხატვრობის მიღმა, მხოლოდ ფერთა მშვენიერი ახსნა კი არ დავინახოთ, ფორმათა და სიმბოლოთა შინაარსობრივი ცვილებების ფონზე, არამედ ეროვნული და საკაცობრიო იდეალთა წინაშე დავდგეთ. ეს არცაა საკვირველი, რამეთუ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას მხოლოდ და მხოლოდ მათი სახელები შემორჩენია, ვისაც ერი, მელოდია და სიტყვა, ზნეობრივი იდეით დაუმუხტავს.

პროფესორი ციალა მესხია ამბობს, რომ ნიკო ხერკელაძე ამითაც გამორჩეულია.

– ხატი ჯადოსნური ჯოხია. მისი გამოყენება რომ შეძლო, ამისთვის გენიოსობაა საჭირო და თუ კარგად დავაკვირდებით ნიკო ხერკელაძის პორტრეტებს, დავრწმუნდებით, რომ ეს გამონათქვამი მისი შემოქმედების ჭეშმარიტი დადასტურებაა.

„პატარა დედოფალი“, „დავით აღმაშენებელი“, „ქეთევან დედოფალი“, „თევდორე მღვდელი“, „იდუმალი გზები“ და მრავალი სხვა, სულ 50–მდე ფერწერული ტილოა წარმოდგენილი.

ციალა მესხია ამბობს, რომ ამ წიგნმა სულ სხვანაირად დაანახა ნიკო ხერკელაძე. ის მარადიული სევდისა და კაეშნის რაინდია. გიორგი სააკაძის სულით გულანთებული შემოქმედია.

– გიორგი სააკაძის დამსახურება განუსაზღვრელია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ხელოვნურად არის გაყალბებული საქართველოს ისტორიაში, რომელიც ხდებოდა ბაგრატიონთა დინასტიისა და თავადიშვილ-ფეოდალთა ზეწოლიდან გამომდინარე, რაც სხვადასხვა ისტორიულ წყაროებთან ანალიზის შედეგად დასტურდება. ისინი ცდილობდნენ თავიანთი ღალატი სამშობლოს წინაშე, უნიათობა და უგერგილობა გადაებრალებინათ გიორგი სააკაძისათვის, რაზედაც არსებობს ხელოვნურად გაყალბებული, ურთიერთგამომრიცხავი ისტორიული მასალები და ამ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი არაერთი ლექსი თუ ისტორიული ცნობა.

ვფიქრობ, სერიოზული ყურადღების ღირსია ნიკი ხერკელაძისეული მოსაზრებანი გიორგი სააკაძის შესახებ. ნიკო ხერკელაძემ საუკუნეთა წყვდიადიდან სულ სხვა ნათელით გამოაბრწყინა გიორგი სააკაძე, ბერი თევდორე, ქსნის ხეობელი გმირები შალვა და ელიზბარ ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ქეთევან დედოფალი, პაატა ხერხეულიძე. შემოქმედმა მათი სახეების გაცოცხლებით გვაჩვენა ძალა ნამდვილი სიყვარულისა, უშრეტი ნიჭი თავგანწირვისა, მოყვასის სიყვარული და შემწყნარებლობა.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა ნიკო ხერკელაძე ვაჟა ფშაველას სახელობის პრემიით დააჯილდოვა.

ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია, საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი გურამ ცერცვაძე (აკადემიის რექტორი), მხატვარი რაშიდ თორდია და მრავალი სხვა ცნობილი და დამსახურებული მხატვარი და მოღვაწე იყო ამ დღეს ნიკო ხერკელაძის შემოქმედების მარალ დონეზე შემფასებელი.

ისინი ერთხმად აღიარებდნენ ნიკო ხერკელაძის დიდ ნიჭს აცხადებდნენ, რომ მხატვარი სახელმწიფო პრემიის ღირსია.

**ნიკო ხერკელაძე:**

– აქ არის ჩვენი რელიგიისა და ისტორიის შესახებ ნამუშევრები: „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“, „ბერი თევდორე“, „რაჟდენ წამებული“. ისინი ჩვენი ცნობილი ისტორიული გმირებია, რომელთა შესახებ მხატვრები, მწერლები, პოეტები ყოველთვის მუშაობდნენ. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვიმუშავეთ. კიდევ ვიმუშავებთ. ეს ჩვენი ქართველი მხატვრების, ხელოვანების მოვალეობაა, რომ ჩვენი საქართველოს ისტორია მომავალ თაობას ლამაზად დაუტოვოთ.

***– ბატონო ნიკო, თქვენ რაღაც იდუმალებით სავსე ნახატები გაქვთ. თქვენმა ნამუშევრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. თქვენ აქ გამოფენილი გაქვთ ნახატი „იდუმალი გზები“. რა მიგიყვანათ ამ იდუმალებით სავსე ქმნილებებამდე?***

– ყველა ადამიანი ატარებს თავის შინაარსში საიდუმლოებებს. ახლა ვლაპარაკობ, მაგრამ მაინც გარკვეული იდუმალებით მოცული ვარ. სანამ ნამუშევრებს წარმოვადგენდი, საიდუმლოებას ვინახავდი. ახლა ნახატები რომ გამოვფინე, გავიხსენი.

***– თითოეული ნამუშევარი განსაკუთრებით მოფიქრებულია სცენარივით, თუ თანდათან მოდიოდა სიუჟეტი და იქმნებოდა ნახატები?***

– ეს მხატვრების, ხელოვანების საიდუმლოებაა, ხოლმე, ყოველთვის. სანამ ბოლომდე არ მოიხარშება შიგნით, მხატვრის გონებაში, ნამუშევარი, მანამ ტილოზე ვერ გადავა. ჯერ ფიქრშია, შემდეგ ფიზიკურად გადადის ტილოზე. ეს იდუმალება ყველა მხატვარშია. ყველა მხატვარშია გარკვეული იდუმალება. ამ იდუმალების ერთ-ერთი განსახიერება შეიძლება მეც ვარ.

***– თვენი ნახატები განსაკუთრებით კონკრეტულ თემებზეა. რამ შთაგაგონათ შეგექმნათ ასეთი ტილოები? მაგალითად, „ბერი თევდორე“, აღმაშენებელი და სხვები.***

– დიახ, ჩემი ნამუშევრები არის რელიგიურ, ისტორიულ თემებზე. ყველა ქართველი ჩვენი ისტორიით არსებობს. ჩვენი წარსულით, აწმყოთი და მომავლით არსებობა, აუცილებლობაა. მხატვარი იყოს, მხატვრობით ცხოვრობდეს და დავით აღმაშენებელზე ნამუშევარი არ შექმნას, წარმოუდგენლად მიმაჩნია – ან კიდევ ქეთევან დედოფალზე, თამარ მეფეზე, რაჟდენ წამებულზე. ბერ თევდორეზე. მხატვარი მათზე აუცილებლად უნდა მუშაობდეს, რომ მომავალ თაობებს დავუტოვოთ ღირსეული ნამუშევრები.

# ბავშვებზე მშობლებიც ძალადობენ

მერი ნამორაძე

ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებულთა რესოციალიზაციასა და დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე ინიციატივა ხელისუფლებისგან წამოვიდა. ალბათ, გაცილებით იოლად მოხდება იმ ახალგაზრდების რესოციალიზაცია, რომლებსაც ოჯახი თუ სანათესაო უდგას გვერდით. მაგრამ რა ბედი ეწევათ ყოფილ ქუჩის ბავშვებს, რომლებმაც ბავშვობის ზღურბლს გადააბიჯეს და არც გულშემატკივარი ჰყავთ ამქვეყნად ოჯახის სახით? ასოციაცია „მკურნალი" სწორედ გაზრდილ ქუჩის ბავშვებთან მუშაობს და სოციალური საწარმოს წყალობით მუდმივად აქვს დასაქმების საშუალება. თუმცა, ყველას მაინც ვერ გასწვდება. საწარმო კარტრიჯების დატუმბვასა და პრინტერების შეკეთებაზე მუშაობს. გარკვეული მოცულობის საქმე ყოველთვის არის და გარკვეული რაოდენობის ახალგაზრდების დასაქმებაც შესაძლებელია.

**„ახალი თაობა" ასოციაციის ხელმძღვანელს, ნინო ჭუბაბრიას ესაუბრა:**

– მოგეხსენებათ, ბევრმა ახალგაზრდამ დატოვა ციხე და ჩვენი ორგანიზაცია გადაიტვირთა. ერთადერთი ორგანიზაციაა, სადაც გადაზრდილ ადამიანს შეუძლია თავი შეაფაროს. პრობლემები დასაქმების კუთხით არსებობს, მაგრამ რაღაცას ვახერხებთ მეგობრების და ახლობლების წყალობით.

***– რამდენ ბენეფიციარს სწვდება ორგანიზაციის შესაძლებლობები?***

– მსურველი გაცილებით ბევრია, ვიდრე შეგვიძლია გავწვდეთ. ამ ეტაპზე ღამეს ვათევინებთ 17 ახალგაზრდას და გვყავს მათი 5 შვილი. მათ შორის პატარა 2 წლამდე ასაკისაა, ყველაზე უფროსი ბენეფიციარი 25 წლისაა. დანარჩენებთან გვაქვს კონტაქტი და თუ შეუძლიათ სადმე დარჩნენ, ვეუბნებით, რომ ჯობია იქ დარჩნენ, რადგან გამოდის ციხიდან ისეთი, რომელსაც არსად აქვს დასარჩენი, გასათევი და დახმარება სჭირდება. სასაცილო ვითარებაში სძინავთ ბავშვებს. იშლება ყველაფერი, რაც შეიძლება გაიშალოს, ტახტი იქნება თუ გასაშლელი სკამი. რაც მთავარია, ქუჩაში არ არიან. ციხეში ყოფნას მათ ურჩევნიათ ყველაფერი, თუნდაც ქუჩაში დახლქვეშ ძილი.

***– საუბრობენ თქვენთან ციხეში არსებულ ზეწოლასა თუ ძალადობაზე არა ადმინისტრაციის, არამედ პატიმართა მხრიდან?***

– პატიმართა მხრიდან ნაკლებად. თუმცა მქონდა ერთი შემთხვევა, როცა საჭირო გახდა ერთ-ერთი ჩემი ბავშვის დაცვა სხვა პატიმრებისგან. ეს იყო შარშან. მაშინ მივმართე სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, პასუხი ვერ მივიღე მათგან. ერთი იყო ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ, სანამ ქუჩაში ცხოვრობდა, ხოლო მეორე იყო ყოფილი ქუჩის ბავშვის ძმა. მათ შორის კონფლიქტი მოხდა. ისევ ტელეფონის საშუალებით მივაწვდინეთ მათ ხმა და ჩვენი ჩარევით დავარეგულირეთ ეს საქმე. დეპარტამენტს ვთხოვდით დაეშორებინათ ერთმანეთისთვის ეს ბავშვები, რადგან შიგნით კონფლიქტი, მერე გარეთ გამოვიდოდა და გარეთაც მოხდებოდა კონფლიქტები ბავშვებს შორის. არანაირი რეაგირება არ იყო.

***– ოჯახში ძალადობის ფაქტებზე თუ საუბრობენ?***

– რა თქმა უნდა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ და იმიტომ გამოვიდნენ ისინი ქუჩაში. იყო სულ 1-2 ბავშვი შედარებით ნორმალური ოჯახიდან, რომელიც გაჭირვების გამო გამოვიდა, გაიცნო ეს ბავშვები და ამათ მოეწება, მაგრამ ძირითადად აქ ხვდებიან ძალიან მძიმე ოჯახის შვილები, სადაც მშობლები სვამენ და ურტყამენ შვილებს; გვქონდა შემთხვევა, როცა ბავშვი გააუპატიურეს და დედამისი იმიტომ კი არ დასდევდა იმ კაცს, რომ დასჯილიყო, არამედ ფული რომ გამოეძალა, ანუ სულ არ დარდობდა, მის შვილს რა დაემართა. გვქონდა შემთხვევა, ბავშვს სთხოვდნენ, ფული მიეტანა სახლში, თუ არ მიიტანდა, არ უშვებდნენ შინ. ღამეს ბავშვი მეზობლებში ათევდა...

***– ასეთი ოჯახის შვილები, რომლებიც ახლა უკვე მშობლები გახდნენ, იმეორებენ შვილებთან ანალოგიურ ქცევას, თავადაც მოძალადეებად ხომ არ იქცნენ შვილების მიმართ?***

– არა, სხვათა შორის. ჯერჯერობით არა. მერე რას იზამენ, ვერ გეტყვით. გადამკვდრები არიან შვილებზე. არ ვლაპარაკობ, რომ რაღაცები ეზარებათ, ზოგჯერ ჩხუბი მიწევს, ჰიგიენის დაცვაზე, ან იმაზე, რომ ღამის ქოთანზე დაჯდომა ასწავლონ ბავშვს და პამპერსზე უარი თქვან. მაგრამ ბავშვი რომ ავად გახდეს, თავს მოიკლავენ და წამალს უშოვიან. შეიძლება გაიქცეს და იმათხოვროს წამლის ფულისთვის, უყიდოს და მოუტანოს. ჯერჯერობით ასეა და მერე რას იზამენ, ვერ გეტყვით.

***– ქალბატონო ნინო, რადგან მსურველი თქვენს ორგანიზაციასთან ურთიერთობისა ბევრია, საწარმოს გაფართოებას ან სხვა პროექტების ამოქმედებას თუ გეგმავთ?***

– ადრე პარალელურად გვქონდა მინანქრის პატარა საამქრო, სადაც ბავშვები იაფფასიან მინანქარს აკეთებდნენ, აბარებდნენ გასაყიდად და თავის თავს ინახავდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე ეს დაიხურა. ძალიან მინდა გავხსნათ პატარა საცხობი, სადაც 8 ახალგაზრდა მაინც დასაქმდება. ეს კარგია ჩვენთვის, რადგან პროდუქცია არ გაგვიფუჭდება. მენეჯმენტსაც, მინდა, რომ თავად გაუძღვნენ. კარტრიჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტს ჩვენ ვხელმძღვანელობთ, რადგან მაინც დიდ ორგანიზაციებთან გვაქვს შეხება. პატარა საცხობის მენეჯმენტში თავიდან მეთვალყურეობას გავუწევთ და ცოტა ხანში, იმედია, არ დავჭირდებით.

***– თვითონ თუ ახერხებენ დღიური საქმის შოვნას?***

– მათ ჰყავთ თავიანთი ე.წ. კლიენტები, მაგალითად, ცემენტის ტომრებში ჩაყრაში რომ მიეხმარონ, ჩამოცალონ, დატვირთონ. ან ავეჯია დასაცლელი, ამ ტიპის კლიენტები ჰყავთ. ამათ გაცილებით იაფს უხდიან, ამიტომ ამათ ურეკავენ. შოულობენ ხოლმე რამდენიმედღიან სამუშაოს მშენებლობებზე, მაგრამ ეს არ არის სტაბილური, რასაც შეიძლება დაეყრდნო. შეიძლება თვე გავიდეს და არაფერი გამოჩნდეს. ამათ სჭირდებათ დასაქმება, მცირე სოციალური საწარმოები.

***– სოციალურად დაუცველთა ნუსხაში თუ ხვდებიან ეს ახალგაზრდები?***

– ადრე ვერ ხვდებოდნენ, რადგან ეუბნებოდნენ, რომ ქუჩაში ცხოვრობთ და სად შევამოწმოთ, რომ ღარიბები ხართ თუ მდიდრებიო. ანუ მისამართი არ აქვთო. შემდეგ ამბობდნენ, რომ ვიღაცის მზრუნველობის ქვეშ არიანო, თუ, მაგალითად, გლდანის ადაპტაციის ცენტრში იქნებოდნენ ან ჩემთან, რატომ უნდა მივცეთ დახმარება, ვიღაც ხომ ზრუნავს მათზეო. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ დროებით პრობლემები შეგვექმნა და შეჩერებული იყო კარტრიჯების წარმოება. ვამბობდი, კი ბატონო, ჩემთან ცხოვრობენ, სახლს ვაძლევ, მაგრამ საჭმელს ვერ ვყიდულობ მათთვის ამ ეტაპზე-მეთქი. მაშინ მისცეს ერთს სოციალურად დაუცველის სტატუსი და ვაპირებთ, რომ ახლა ყველამ მიიღოს ეს სტატუსი.

ახლა შეიძლება, ერთმა ჩვენმა ბავშვმა მიიღოს ბინა. გლდანის ცენტრიდან იყო რამდენიმე წლის წინ მასზე სოციალური სტატუსის გამო მოთხოვნა ბინაზე და მოხვდა იმ 260 კაციან სიაში, რომლებმაც ბინა უნდა მიიღონ სახელმწიფოსგან.

***– როცა ჯანმრთელობის პრობლემა დგება, როგორ ართმევთ თავს ამ ყველაფერს, საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში თუ ჩართეთ ეს ახალგაზრდები?***

– ჯანმრთელობის პრობლემის დადგომისას აბსოლუტურად მე ვიხდიდი ყველაფერს. 2 წლის წინ გვქონდა შემთხვევა, როცა ვიყავი ბათუმში და აქ ერთ-ერთი ბენეფიციარის შვილი, ჩვილი ბავშვი გახდა ავად კუჭის აშლილობით. წაიყვანეს საავადმყოფოში, მირეკავს დედა ღამით 40 ლარია გადასახდელიო. ექიმმა გამოართვა ტელეფონი და მეუბნება, რა 40 ლარი, 500 ლარიანი წამალია სასწრაფოდ საჭირო და ერთ საათში თუ არ გავუკეთეთ, ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ბავშვი გადარჩებაო. ვუთხარი, ვარ ბათუმში და ახლავე რომ გამოვიდე, ერთ საათში თბილისში ვერ ვიქნები-მეთქი. გთხოვთ გაუკეთეთ და ხვალ, თბილისში ჩამოსვლისთანავე, თანხას გადავიხდი-მეთქი. არავითარ შემთხვევაში, ჩვენ ადგილზე არ გვაქვს, უნდა იყიდოთ და მოიტანოთ, სხვაგვარად არ გამოვაო. ღამე მომიწია მეგობრის გაღვიძება, რომელმაც გააღვიძა კიდევ სხვა მეგობარი, რომელიც მეხმარებოდა და საკვების ფულს მაძლევდა ხოლმე. მოსკოვიდან გვიგზავნიდა ქართველი ბიზნესმენი საკვების ფულს და არა მარტო ჩვენ, სხვებსაც ეხმარებოდა. ახლა გაუჭირდა იმასაც და ველარ გვიგზავნის, მაგრამ წლების განმავლობაში ბევრს ეხმარებოდა. მოკლედ, მიუტანეს ეს წამალი და გაუკეთეს ბავშვს.

რაც შეეხება საყოველთაო დაზღვევის პროგრამას, ჯერჯერობით არ დაგვჭირვებია მისი გამოყენება და ვერ გეტყვით, როგორ იმუშავებს. ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში გეხმარება, მაგრამ დავუშვათ იცი, რომ ბავშვს რაღაც სჭირს, მყავს ახლა ერთი ბავშვი, კუჭის წყლული აქვს და ოპერაცია სჭირდება. თუ არ გაუსკდა, არ გაუკეთებენ.

# წინასააღდგომოდ საკითხავი

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

მკითხველისთვის საინტერესო თემის წამოწევა ჩვენს სინამდვილეში ძალიან ადვილია. ირგვლივ იმდენი ინტრიგა იყრის თავს, ნამდვილად არ გაჭირდება თემის შერჩევა, რომელიც იქნება კითხვადი, მაგრამ ამჯერად ისეთ საკითხზე მინდა დავწერო, რომელიც ახლო მომავალში მთელი საქართველოსთვის არახალი, ძველი იქნება.

აღდგომა ერთი ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია ქრისტიანულ სამყაროში. ნაკლებმორწმუნეებისათვის (ან სულაც ათეისტებისათვის) აღდგომა მაინც აღნიშვნადი დღეა. ახალი წლის მსგავსად ამ დღეს ყველა ცდილობს, რომ სუფრა ბევრად მრავალფეროვანი ჰქონდეთ. ჩვენი კუდაბზიკობიდან გამომდინარე არც ისაა მოულოდნელი, რომ ვალი ავიღოთ ამისთვის ან სხვა დანარჩენ დღეების ხარჯზე წარმოდგენა შევიქმნათ, რომ მდიდრები ვართ. წესით, აღდგომას ადამიანი ტძარში უნდა ხვდებოდეს ღამისთევით და მორწმუნეობრივი სიხარულით ეგებებოდეს სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველის მკვდრეთით აღდგომის აღმნიშვნელ დღეს.

ბოლშევიკურმა ეპოქამ თავისი დაღი დაასვა რწმენას. მართალია, რწმენა ვერ ამოძირკვა ადამიანებში, მაგრამ ეცადა მის ტრანსფორმაციას. პირველ რიგში ბოლშევიკებმა ,,ღმერთი არ არსებობს" წამოიძახეს იმისათვის, რომ ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყვნენ რაღაც განსაკუთრებული ლოზუნგით (შრომის გათავისუფლებითა და სოციალური თანასწორობის იდეებს სხვა პოლიტიკური ძალებიც ქადაგებდა). ადამიანები ინერციულად მაინც აგრძელებდნენ რელიგიური წესებით ცხოვრებას: მარხულობდნენ, საეკლესიო დღესასწაულებს ზეიმობდნენ და რელიგიურ ატრიბუტებს ატარებდნენ. რადგან რწმენის აღმოფხვრა ვერ მოახერხეს, ამიტომ დაიწყეს სასულიერო ფენების დისკრედიტაცია და ასე თუ ისე, უკომპრომისო კომუნისტებმა დაიწყეს მზაკვრული გეგმის განხორციელება: მოძღვრების გარეშე ერწმუნათ ადამიანებს რელიგიები.

ვისაც საქართველოს ბოლო რამდენიმე საუკუნის ისტორიისთვის უდევნებია თვალი, ქართული ცნობიერება თითქმის სულ ქრისტიანულს ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ მეფეს არაერთი გადაცდომა ჰქონდა, მაგრამ იყო ქრისტიანი, ხალხი ბევრს პატიობდა და



თვალს ხუჭავდა მის შეცოდებებზე. დღესდღეობითაც ქრისტიანი მეფე თეიმურაზი უფრო პოპულარული და მისაღებია, ვიდრე ვახტანგ შაჰნავაზი, რომელმაც ისლამის მიუხედავად უფრო გონივრული პოლიტიკის წყალობით შვება მისცა ქართველებს და სხვა თუ არაფერი, მისი მეუღლის თაოსნობით ,,ქართლის ცხოვრება" შემორჩა ჩვენს სახელმწიფოს, რომელიც გარდა იმისა, რომ ძვირფასი ისტორიული წყაროა, ეროვნულ სიამაყესაც წარმოადგენს.

მოკლედ, ეს გაითვალისწინა კომუნისტურმა სისტემამ და ლმობიერი გახდა რწმენის მიმართ და სასულიერო ფენებისადმი–დაუნდობელი. ყველაზე ბრძენ ადამიანსაც კი ჰყავდა მასწავლებელი და ქრისტიანებს ნელ-ნელა შეურყიეს ნდობა სამღვდელოებისადმი, რომელიც არა მარტო საეკლესიო წეს-ჩვეულებათა აღმსრულებელი იყო თავის დროზე ქვეყანაში, არამედ მოსამართლეც, ექიმიც და მასწავლებელიც.

ღორი გაძღება და მღვდელი-ვერა, –ამას ჩასჩიჩინებდნენ ხალხს და ჩიჩინი, ასე თუ ისე, მოგეხსენებათ, ჭრის. სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, ბევრჯერ ამის თქმის უფლებას ზოგიერთი მამაოს საქციელი იძლეოდა, მაგრამ არც ყველა კომუნისტი იყო ისეთი, ლენინურ შაბათობებზე რომ იღწვოდნენ უფასოდ.

მოახერხეს თუ ვერა, რომ ტრანსფორმაცია მომხდარიყო რწმენის? ლენინი, სტალინი და შემდეგ კიდევ სხვა კომპარტიის ლიდერები წარმატებულად ირგებდნენ ღვთიურ შარავანდედს, თუმცა მალევე კარგავდნენ ხიბლს. შედარებით ლენინის ხატმა გაძლო დიდხანს, რადგან ყველა მომდევნო დიდი კომუნისტი მხოლოდ ლენინს ახსენებდა აღმატებით ხარისხში. სხვებზე ან დუმდნენ, ან აუგს ამბობდნენ. ხან ზედმეტი მოძრაობა ღუპავდა ბოლშევიკი ლიდერის სახელს, ხანაც–უძრაობა. არ არსებობს ღმერთი, თვინიერ ლენინისა, გვაძახებინებდნენ ბავშვობისას და წამოვიდა ათეისტური თაობა, რომელსაც ბოლოს არც ლენინის რწმენა შეგვრჩა და ღვთისა–ხომ უფრო ნაკლებად!

მახსოვს, რომ აღდგომა დღეს სასწავლოდ აცხადებდნენ. სკოლისკენ მიმავლები სრულიად გათავისუფლებულნი რწმენისაგან შეღებილ კვერცხებს მალულად ვუჭახუნებდით და მონადირული ჟინით ავსილნი გატეხილ კვერცხებს ვაგროვებდით. თუ რომელიმე მასწავლებელი მოგვისწრებდა კლასში ან სკოლის გარეთ ასეთ ,,ფანატიზმში" ჩაცვივნულებს, ეგრევე საყვედური, მშობლის დაბარება და ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება გარნტირებული გვქონდა.

ასეთმა მოპყრობამ მაინც ბოლოს ერთი ძალიან ნეგატიური მოვლენა დაამკვიდრა ჩვენში. ცოცხალთათვის უდიდესი დღესასწაული მკვდრებისად ვაქციეთ. აღდგომა დილით სასაფლაოზე გადატვირთულ სუფრებს ვშლით, მერე იმ და ამ მიცვალებულთა ,,საპატივცემულოდ" ვსვამთ ათასგვარ ალკოჰოლს და ბოლოს რწყევა-რწყევით თუ არა, ბარბაცით მაინც მივუყვებით გზას სახლისკენ. ცალკე საკითხია ქალების მითქმა-მოთქმა, ვინ როგორი სუფრა ,,გაუშალა მკვდრებს" და სულ ბოლოს ღვთის დამვიწყებელი თაობა კარტის თამაშსაც გააჩაღებს. კოცნით შეგებებულნი სცილდებიან გინებითა და მუშტების ქნევით. ასე, რომ ინერციით რწმენა და ურწმუნოება გადაესკვნენ ერთმანეთს, საშველი ან ღრმა რწმენაშია, ან სულაც ურწმუნოებაში. მორწმუნეები საფლავებზე არ გადიან აღდგომას, ურწმუნონი კიდე არ გადიან, ბუნებრივია.

# გუბერნატორებმა საბოტაჟს მიმართეს

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, პრეზიდენტის რწმუნებულების უმეტესობა, პრაქტიკულად, უარს ამბობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობაზე. ამ ხნის განმავლობაში სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობდა, სამუშაო პროცესში ჩაერთო გუბერნატორები, რომლებიც ადგილზე არსებულ პრობლემებზე, სამინისტროსთან ერთად იმუშავებდნენ – ამის შესახებ რეგიონული განვითარების სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი. სამინისტროს ინფორმაციითვე, საბოტაჟის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების რეესტრი. მოგეხსენებათ, აღნიშნული ფონდიდან პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტებთან ერთად, პროექტების წარდგენის შესაძლებლობა პრეზიდენტის რწმუნებულებსაც ჰქონდათ. ამის მიუხედავად, მითითებულ ვადაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში რწმუნებულების მიერ მხოლოდ სამი პროექტი შემოვიდა – შიდა ქართლის, იმერეთისა და გურიის გუბერნატორებისგან.

„მიუხედავად იმისა, რომ გუბერანტორებს ჰქონდათ შესაძლებლობა და ვალდებულებაც, რომ საკუთარ რეგიონში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ეზრუნათ, მათ ამ შესაძლებლობაზე, ანუ მოსახლეობის პრობლემების მოგვარების რეალურ შანსზე, პრაქტიკულად, უარი თქვეს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მარტის თვეში საქართველოში მომხდარი სტიქია (ქარიშხალი), რომელმაც 10-ზე მეტი თვითმმართველობა დააზარალა. დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, თუმცა, ამ პერიოდში უწყებისთვის არც-ერთ გუბერნატორს არ მოუმართავს" – აცხადებენ რეგიონული განვითარების სამინისტროში.

**ნიუსპრესი**

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველოში დღეს მიღწეული პროგრესის გადახედვა ხდება"

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ბათუმის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მერიის განთავსება იმის მაგალითია, თუ როგორ ხდება დღეს ქვეყნის მთავარი პროგრესის გადახედვა. ამასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ნიუ-იორკში, ქართულ დიასპორასთან შეხვედრის დროს განაცხადა.

„ბათუმში შევქმენით ძალიან მაგარი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი , რომელსაც წელს უკვე სტუდენტები უნდა მიეღო. კავკასიაში ის ყველაზე ლამაზი და ყველაზე თანამედროვე შენობა უნდა ყოფილიყო. ეს იყო საქართველოს მომავლის განვითარების სიმბოლო, თუმცა, სწორედ იმიტომ, რომ მე ძალიან ვამაყობდი ამ პროექტით, რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა, რომ ამ გრანდიოზული შენობიდან უნივერსიტეტს გამოასახლებენ და შიგნით ბათუმის არაფრისმაქნის მერიას ჩაასახლებენ. ეს დაახლოებით იმის მსგავსია, რომ ნიუ-იორკის თავისუფლების კოშკში მანჰეტენის გამგეობა რომ შეასახლონ. ეს არის ერთი მაგალითი იმისა, როგორ ხდება იმ მთავარი პროგრესის გადახედვა, რაც საქართელოში მიღწეულია ,, – აღნიშნა სააკაშვილმა.

**ნიუსპრესი**

# თავდაცვის სამინისტროში სამხედრო პოლიციის თანამშრომლები დაჯილდოვეს

თავდაცვის სამინისტროში გუშინ, დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ვიცე-პოლკოვნიკმა კახაბერ ჩიხრაძემ, სამხედრო პოლიციის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები უწყებრივი მედლით – ,,სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისათვის," დააჯილდოვა.



სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამხედრო პოლიციის თანამშრომლები, ავღანეთში აისაფის საერთაშორისო მისიაში 6 თვის განმავლობაში ასრულებდნენ მისიას. მათი მთავარი მოვალეობა ქართველი სამხედროებისათვის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა და შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების პრევენცია იყო.

**ნიუსპრესი**

# გრიგოლ რობაქიძის პირად არქივზე მუშაობა დასრულებულია

ეკა ირემაშვილი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დასრულდა ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ რობაქიძის პირად არქივზე მუშაობა. მისი პირადი არქივი მოიცავს 378 ერთეულს. აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა; შემოქმედება; მიმოწერა. არქივის აღწერილობას ახლავს პირთა, გეოგრაფიული და თემატური საძიებლები.



გრიგოლ რობაქიძე ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჯერ ტარტუს უნივერსიტეტში ესტონეთში სწავლობდა, შემდეგ კი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაასრულა ლაიფციგის უნივერსიტეტი გერმანიაში. გერმანიიდან საქართველოში 1908 წელს დაბრუნდა და მალე ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გახდა. იგი გახდა „ცისფერყანწელების" ერთ-ერთი დამფუძნებელი. ამ ლიტერატურულმა დაჯგუფებამ, რომელშიც გაერთიანდნენ იმ დროისთვის პროგრესული სიმბოლისტი მწერლები და პოეტები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შემდგომ განვითარებაში. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში გრიგოლ რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი იყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნილი საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი. იმავე წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა ქართული ლეგაცია სტამბოლში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ მწერალი აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც მუდმივად განიცდიდა დევნას ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან. იგი გარდაცვალებამდე იყო პოლიტიკური ემიგრანტი — ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, შემდეგ კი შვეიცარიაში. ასევე იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე. მისი უშუალო მოღვაწეობით ემიგრაციაში დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი და იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. კავშირის თავმჯდომარე გახლდათ ევროპაში ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაური ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. გრიგოლ რობაქიძე ანტიბოლშევიკ ერთა ლიგის თვალსაჩინო მოღვაწედაც არის მიჩნეული. მწერლის პროზაზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა, ნიკოს კაზანძაკისმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა რომანებმა „გველის პერანგი", „დემონი და მითოსი", „ჩაკლული სული", „გრაალის მცველნი", „მეგი — ქართველი ასული". მწერალს დიდი აღიარება მოუტანა დრამამ „ლამარა". ის ძირითადად წერდა გერმანულ ენაზე. ასევე დიდი პოპულარობა მოიპოვა გერმანულ და სხვა ენებზე რამდენიმეგზის გამოცემულმა მისმა კრებულმა „კავკასიური ნოველები". ქართველი მწერალი არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად. 1960-იანი წლების დამდეგს გადაწყვეტილი იყო მისი წარდგენა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე, რასაც ხელი შეუშალა მწერლის გარდაცვალებამ. გრიგოლ რობაქიძე ჟენევაში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. ქართველი ემიგრანტების ნინო და კალისტრატე სალიების თაოსნობით მწერალი საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე გადაასვენეს. მისი ბინა პოლიციამ დალუქა, არქივი კი ლიკვიდაციას შვეიცარიელი მეგობრების ძალისხმევით გადაურჩა.

— ჩემი ნატვრაა: როცა მე ამსოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს და პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს, მეტს არასა ვთხოვ საქართველოს, — ასეთი იყო გრიგოლ რობაქიძის ნატვრა, რომელსაც ქართველები ყოველი წელს ასრულებენ, 28 ოქტომბერს მის დაბადების დღეზე მცხეთაში ქართული საზოგადოების ნაწილში იკრიბება და მწერლის ხსოვნის უკვდავსაყოფად სანთელს ანთებს.

გრიგოლ რობაქიძის არქივი დაამუშავა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა ეთერ ქავთარაძემ 2012 წელს.

ხელნაწერთა ცენტრში დასრულდა ქართველი ისტორიკოსის, აღმოსავლეთმცოდნის, მწერლის (ფსევდონიმი ნიკოლოზ გაბაონი) ვალერიან გაბაშვილის პირად არქივზე მუშაობა. იგი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოში აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, იკვლევდა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისს, ქართული და აღმოსავლეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის პრობლემებს, აგრეთვე, ქართული სამართლის, დიპლომატიკის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს. ავტორია რომანისა „აივნიანი ქალაქი".

ვალერიან გაბაშვილის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. არქივი შემოსწირა მისმა ქალიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მანანა გაბაშვილმა 2008 წლის 13 თებერვალს. ვალერიან გაბაშვილის პირადი არქივი მოიცავს 1220 საარქივო ერთეულს. აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა; შემოქმედება; სხვადასხვა და ფოტოები. არქივის აღწერილობას ახლავს პირთა და გეოგრაფიული საძიებლები. ვალერიან გაბაშვილი არქივი დაამუშავა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომელმა მარინა ილურიძემ 2012 წელს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ხშირად ჰყავს საპატიო სტუმრები. ცენტრს ამჯერად იტალიის ელჩი სტუმრობდა. უცხოელ დიპლომატს მასპინძლობა ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ გაუწია. ელჩმა უძველესი ქართული და უცხოური ხელნაწერები დაათვალიერა და ბუბა კუდავასთან ერთად სამომავლო კულტურული თუ საგანმანათლებლო ხასიათის თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო სემინარი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ანა ხარანაულმა წაიკითხა — „ბიბლიის ხელნაწერების კვალდაკვალ — წმინდა წერილის ტექსტის ისტორიის ძიებაშია სე ეწოდებოდა მოხსენებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა, გაჰყვეს ქართული ხელნაწერების კვალს და მათ ფონზე, უკვე ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ზოგადად, სილუეტურად წარმოადგინოს ქართული მწიგნობრული კერების, ბიბლიოთეკებისა და სკრიპტორიუმების ისტორია; ქართული ხელნაწერი წიგნის განვითარების ისტორია; ქართული ბიბლიის თარგმნისა და მისი ტექსტის ისტორია.

ცენტრმა ახალი წიგნების გამოფენა-პრეზენტაციაც გამართა. ხელნაწერთა ცენტრის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გამომცემლობების „ლოგოსის", „არტანუჯისა" და ცალკეულ ავტორთა პირადი შემოწირულობით შემოსული ლიტერატურა. წიგნების გარკვეულ ნაწილს გაუკეთდა ანოტაცია, რაც გულისხმობს წიგნის ბიბლიოგრაფიულ და მოკლე შინაარსობრივ აღწერილობას.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, სულ ახლახან, საფრანგეთიდან შეიძინა ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, ჟურნალისტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ლეო კერესელიძის ოჯახის პირადი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა მოიცავს 130-მდე სამეცნიერო თუ მხატვრული სახის წიგნს და გამორჩეულია მინაწერებით. წიგნები შეძენილ იქნა „ბანკი რესპუბლიკას" დახმარებით, ხოლო ტრანსპორტირება უზრუნველყო საქართველოს ავიახაზებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ზაფხულამდე საკმაოდ შორია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უკვე ემზადება მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმისთვის „ქართული ხელნაწერი".

– 2013 წლის 25-30 ივნისს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში იგეგმება მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი სახელწოდებით „ქართული ხელნაწერი". სიმპოზიუმს საფუძველი 2009 წელს, ცენტრის დაარსების იუბილესთან დაკავშირებით ჩაეყარა. 2013 წელს დაგეგმილი სიმპოზიუმის მიზანია, საშუალება მისცეს ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერი მემკვიდრეობით დაინტერესებულ მეცნიერებს, წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები სხვადასხვა კვლევითი სფეროების მიხედვით. სიმპოზიუმის სათაური გულისხმობს, რომ ძირითადი ყურადღება ქართული მასალის მიმართ იქნება მიპყრობილი, თუმცა ფორუმი სხვაენოვანი ხელნაწერი მემკვიდრეობის მკვლევართაც აძლევს საშუალებას. სიმპოზიუმის ძირითადი თემატიკაა შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურა და ქართული ხელნაწერი; ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია; შუა საუკუნეების სამეცნიერო ცოდნა და ქართული ხელნაწერი; შუა საუკუნეების სამართლებრივი აზრი და ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა; აღმოსავლური კულტურა და საქართველო (ხელნაწერი მემკვიდრეობა); დასავლური კულტურა და საქართველო (ხელნაწერი მემკვიდრეობა); ხელნაწერი წიგნის შექმნა: დამკვეთები, გადამწერები, მხატვრები, შემომსვლელები; ბეჭდური წიგნის სათავეები; მისიონერები, მოგზაურები და მეცნიერები საქართველოს შესახებ; ქართული ემიგრაცია (საარქივო მემკვიდრეობა); თანამედროვე ტექნოლოგიები და ხელნაწერი მემკვიდრეობა და ხელნაწერი კულტურა და თანამედროვე საგამოფენო კონცეფციები. სამუშაო სექციებში კი გაერთიანებულია კოდიკოლოგია-ტექსტოლოგია, წყაროთმცოდნეობა-დიპლომატიკა, წიგნის ხელოვნება-გამოფენა, არქივთმცოდნეობა, ძველი ბეჭდური წიგ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# არმიამ აია მესამეზე დატოვა

**არმია – აია 31:17**

**არმია:** 15.კობახიძე, 14.ტუჩაშვილი, 13.ჩხიკვაძე, 12.გაგოშვილი (ჯიმშელაძე), 11.აფციაური (შკინინი), 10.ელიზბარაშვილი (ნინიძე), 9.ჯინაშვილი; 1.ზაქაშვილი (კაკოვინი), 2.მამუკაშვილი (მეკოკიშვილი), 3.გურგენიძე, 4.სურგულაძე (ჟღენტი), 5.ცხადაძე (არჩუაშვილი), 6.ბიწაძე, 7.აზალაძე, 8.ბუჯიაშვილი.

**4 ლელო:** ტუჩაშვილი, აფციაური (2), ჯიმშელაძე

**4 გარდასახვა:** კობახიძე

**1 არეკნი:** ნინიძე

**აია:** 15.ძნელაძე, 14.გოშაძე (კვერნაძე), 13.კუხიანიძე, 12.ხამაშურიძე, 11.ფრუიძე, 10.სინაურიძე (ჯინჭველაშვილი), 9.როხვაძე; 1.რატიაშვილი (ლომთაძე), 2.თხელიძე (ლომიძე), 3.ლომიძე (მატკავა), 4.შალამბერიძე, 5.ძაგნიძე (ჩიტეიშვილი), 6.რევიშვილი, 7.ყურაშვილი, 8.შაშიაშვილი (დგებუაძე).

**2 ლელო:** ყურაშვილი, კვერნაძე

**2 გარდასახვა:** ჯინჭველაშვილი

**1 ჯარიმა:** სინაურიძე

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ანგარიში მე-5 წუთზე გაგა სინაურიძემ ჯარიმით გახსნა. ქუთაისელებმა სალელოვედაც შეუტიეს, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენეს, მერე სინაურიძემ არეკნით სცადა მიზნის მიღწევა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

ამასობაში „არმია" დალაგდა, თამაში გამოასწორა და მატჩის ბედი პირველივე ნახევარში გადაწყვიტა.

ჯერ გიორგი ელიზბარაშვილმა ფეხით ჩაკიდა ბურთი და ალექსანდრე ტუჩაშვილმა ჩათვლის მოედანში დაამიწა. ბახვა კობახიძემ გარდასახვა გამოიყენა და მე-20 წუთზე თბილისელები 7:3 დაწინაურდნენ.

სამ წუთში ქუთაისელები კიდევ ერთხელ შეცდნენ. ფეხით გადაკიდებული ბურთი კობახიძემ თავის ნახევარზე აიღო, მეტოქემ ხაზის დალაგება ვერ მოასწრო, თბილისელთა ფულბეკმა თავისუფალი სივრცით ისარგებლა, ხაზი უპრობლემოდ გაჭრა და ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში გიორგი აფციაურს შეაყოლა. კობახიძემ სალელოვე გადაცემას ზუსტი გარდასახვაც მიაყოლა 14:3.

„აია" „აიჭრა". ყველაფერთან ერთად მოედნიდან 10 წუთით მათი ლიდერი ბესიკ ხამაშურიძეც გააძევეს. თბილისელებმა მეტობის გამოყენება განიზრახეს, ჯარიმა კარში არ დაარტყეს და ლელოზე ითამაშეს. ისინი მიზანთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ელიზბარაშვილმა ხელდახელ შეტევას ფეხით თამაში არჩია და შეცდომა დაუშვა. მერე მანვე 40 მეტრიდან არეკნით სცადა 3 ქულის აღება, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. 36-ე წუთზე კობახიძემ ჯარიმით სცადა უპირატესობის გაზრდა, თუმცა, მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა.

„არმიამ" მეტობა ვერ გამოიყენა. ქუთაისელებს ხამაშურიძე დაუბრუნდა და „აიამ" საპასუხო შეტევა წამოიწყო, თუმცა, მეტოქის 22-ში ბურთი დაკარგა, რითაც კარგად ისარგებლა აფციაურმა, დაახლოებით 80 მეტრი ირბინა და თავისი მეორე, ხოლო გუნდის მესამე ლელო გაიტანა. ამას კობახიძემ ზუსტი გარდასახვა მიაყოლა და ტაიმი 21:3 დასრულდა.

მეორე ტაიმში „აიას" უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ და აქტიურად დაიწყეს თამაში. დაახლოებით 20-25 წუთი თამაში სულ „არმიას" ნახევარზე მიდიოდა. 55-ე წუთზე შეცვლაზე ორიოდე წუთის შესულ ბექა მეკოკიშვილმა ხამაშურიძეს ხელი გაარტყა. მცირე ჩხუბის შემდეგ რეფერიმ სწორად განსაჯა სიტუაცია და „არმია" კაცნაკლული დარჩა. ამან ქუთაისელებს ჩამორჩენის შემცირების იმედი გაუჩინა, თუმცა ორი სალელოვე შეტევა გააცუდეს.

დრო ცოტა რჩებოდა. ამასობაში „არმიას" უპირატესობის გაზრდის საშუალებაც მიეცა. კობახიძეს 40 მეტრიდან ჯარიმა გაუცუდდა, მაგრამ ძალიან მალე, 66-ე წუთზე, შეცვლაზე შესულმა გიორგი შკინინმა კონტრშეტევისას ფლანგზე მიიღო ბურთი, მბოჭავს დაუსხლტა და მეოთხე ლელო გაიტანა, ხოლო კობახიძემ გარდასახვა გამოიყენა.

„აია" რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ არ დანებდა და 73-ე წუთზე ჯარიმის რამდენჯერმე ზედიზედ გათამაშების შემდეგ, ბექა ყურაშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო ჯინჭველაშვილმა გარდასახვა გამოიყენა.

შეხვედრის დასრულებამდე ორიოდე წუთი რჩებოდა, როდესაც ქუთაისელებმა საკუთარი 22-იდან წამოიწყეს შეტევა და ის სერგო კვერნაძემ ლელოთი დააგვირგვინა. გარდასახვა ამჯერადაც ზუსტი იყო, მაგრამ „აიას" თამაშის შემოსაბრუნებლად დრო აღარ რჩებოდა და „არმიამ" მამუკა ნინიძის არეკნით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 31:17.

მაშ ასე: ქუთაისურმა კლუბმა ეროვნულ ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა, ხოლო „არმია" საჩემპიონო ფინალში 25 მაისს „ლელოს" დაუპირისპირდება.

# საქართველოს ნაკრებმა ევროპა გუნდურადაც დაიპყრო



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპის გუნდური ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგო! ირაკლი უზნაძის გაწვრთნილმა ფალავნებმა ფინალში რუსეთის ნაკრებს 4:1 სძლიეს. ჩვენმა ძიუდოისტებმა შარშანაც რუსებს მოუგეს გადამწყვეტ შეხვედრაში.

პირველ წრეში ჩვენი გუნდი თავისუფალი იყო, მეოთხედფინალში კი მეტოქედ მასპინძელი, უნგრეთის ნაკრები ერგო. პირველ შეხვედრაში ლაშა შავდათუაშვილი, ვინც 66კგ წონაში ოქრო ირგუნა, ბენცე ზამბორს დაეჭიდა და სუფთა გდებით, იპონით დაამარცხა. ლონდონი 2012-ის ფინალში შავდათუაშვილისგან ძლეულმა მიკლოშ უნგვარიმ ნუგზარ ტატალაშვილს სძლია და ანგარიში გაათანაბრა – 1:1, თუმცა მომდევნო პაექრობებში ქართველებმა იმარჯვეს: ავთანდილ ჭრიკიშვილმა, ვალერი ლიპარტელიანმა და ადამ ოქრუაშვილმა საქართველოს ნაკრებს 4:1 მოაგებინეს.

ნახევარფინალში უზნაძის გუნდის მეტოქე ჰოლანდია გახლდათ. შავდათუაშვილმა კვლავ მოიგო – იესპერ დე იონგს აჯობა, ნუგზარ ტატალაშვილის ნაცვლად გუნდში მოხვედრილმა ზებედა რეხვიაშვილმა დექს ელმონტს სძლია, ჭრიკიშვილმა ნელ ვან დე კამერთან გამარჯვებით 3:0 დააწინაურა გუნდი, შემდეგ ლიპარტელიანი მსოფლიოს ჩემპიონთან, ხიიომ ელმონტთან დამარცხდა, თუმცა ადამ ოქრუაშვილმა კვლავ მოიგო და საქართველომაც ისევ 4:1 გაიმარჯვა.

ფინალში რუსების წინააღმდეგ საქართველოს ნაკრებმა ზუსტად იმავე შემადგენლობით იასპარეზა, როგორც ნახევარფინალში. თავიდან მეტოქე დაწინაურდა: შავდათუაშვილს მიხაელ პულიაევთან მოეცარა ხელი, თუმცა მომდევნო 4 პაექრობა ქართველმა ფალავნებმა მოიგეს – რეხვიაშვილმა მუსა მოგუშკოვი დაამარცხა, ჭრიკიშვილმა სირაზუდინ მაგომედოვს აჯობა, ლიპარტელიანმა გრიგორი სულემინს სძლია, ოქრუაშვილმა კი რენატ საიდოვს. საბოლოოდ 4:1 და ევროპის გუნდური ჩემპიონატის ოქრო!

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული გუნდურში მესამედ მოიგო – პირველად 2010 წელს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, მეორედ კი შარშან, რუსეთში, ჩელიაბინსკში. ჩვენი გუნდი აქამდე გამართული 4 ჩემპიონატიდან ერთადერთხელ დარჩა ოქროს მედლის გარეშე – 2011 წელს, სტამბოლში მესამე იყო.

# შოთა არველაძეს „ანჟიში" „უშვებენ"

გუს ჰიდინკი ზაფხულში რუსეთს დატოვებს, შესაბამისად, „ანჟის" ახალი მწვრთნელის პოვნა მოუწევს. დენის რამანცოვს ბევრი საფიქრალი აქვს, ვის ანდობს თავის კლუბს.

ერთ-ერთი რუსული სპორტული ვებგვერდის ჟურნალისტი სურვილს გამოთქვამს, რომ „ანჟის" მთავარი მწვრთნელი ქართველი სპეციალისტი შოთა არველაძე იყოს და ამისთვის 5 მიზეზს ასახელებს თუ რატომ უნდა ჩაანაცვლოს გუს ჰიდინკი მან.

სკოლა: „ალკმაარში" არველაძე რონალდ კუმანის, დიკ ადვოკაატისა და ლუის ვან გაალის თანაშემწედ მუშაობდა. ვან გაალთან ერთად ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა. „ქაისერში" ჯერარდ ვან დერ ლემს ეხმარებოდა (ვან გაალის დამხმარე იყო „ბარსელონასა" და „აიაქსის" შეხვედრისას) – როგორც მწვრთნელი, შოთა ჰოლანდიური პრინციპით გაიზარდა. გავრცელებული ჭორი, თითქოს „ანჟის" ხელმძღვანელობა ადვოკაატთან აწარმოებს მოლაპარაკებას (თუ, რა თქმა უნდა, ეს ჭორი მოგონილი არ არის), მაშინ ვინ უნდა განიხილო მთავარი მწვრთნელის რანგში, გარდა არველაძისა.

ენები: გუს ჰიდინკმა რუსულ გუნდებთან 5 წელი იმუშავა, მაგრამ რუსულად 10 სიტყვაც ვერ ისწავლა. ეს სამსახურში პრობლემას არ უქმნის, მაგრამ მას თუ მივიჩნევთ პოლიგლოტად, მაშინ შოთიზე რა უნდა ვთქვათ? შოთიმ იცის მშობლიური ქართული ენა, რუსული, ინგლისური, თურქული, ჰოლანდიური და საბაზისო ესპანური (კარიერა „ლევანტეში" დაასრულა). თურქეთში არველაძე მატჩისშემდგომ კომენტარებს და ინტერვიუებს თურქულ ენაზე აძლევს, ინგლისური ძალიან კარგად იცის, რომელიც „გლაზგოში" გატარებული 4 წელში შეისწავლა, რუსულთან კი მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. მწვრთნელის „პრო ლიცენზია" შოთიმ კიევში მიიღო. მისი სიტყვებია „სჯობს ლექციები რუსულ ენაზე მოვისმინო, ვიდრე ჰოლანდიურზეო".

ტემპერამენტი: ის მთელი მატჩის დროს ფეხზე დგას. აქტიურად ამხნევებს თავის ფეხბურთელებს. ბოთლით წყალსაც თავადვე აწოდებს მათ, რასაც იმისთვის იყენებს, რომ მოთამაშეებს დავალებები მისცეს. სიხარულსაც განსაკუთრებულად გამოხატავს. თუნდაც „გალათასარაისთან" შეხვედრას თუ გავიხსენებთ, როდესაც გამარჯვების გოლი გაიტანეს მისმა შეგირდებმა, შოთიმ სიხარული მისი თანაშემწის კისერზე შემოხვეულმა გამოხატა. იგი თამაშობს, თამაშით სუნთქავს, მოედანზე გაუსვლელადაც კი.

ტალანტი: საკმარისია ვთქვათ, რომ არველაძემ რამდენიმე თვის წინ, სენიადა ბრიჩიჩისგან შესანიშნავი ფეხბურთელი გამოძერწა, რომელიც თურქეთის ჩემპიონატის მეორე წრეში ყველაზე ეფექტური ნახევარმცველია. სერდარ კეზიმალი ყველაზე საიმედო მცველი გახდა შოთის მისვლის შემდეგ და „ფენერბაჰჩეში" 4,5 მილიონ ევროდ გაიყიდა. მეორე ახალგაზრდა მცველმა – ემერ გიუნგერმა ტრავმის გამო, ნახევარი სეზონი გამოტოვა, მაგრამ არველაძემ ის დაცვის ხაზის კაპიტნად აქცია. არველაძის ხელმძღვანელობით ნიჭიერი ფეხბურთელები თავის პოტენციალს ბოლომდე ავლენენ, მისი კლუბი თავის ამბიციებს არ მალავს და ლიდერ გუნდებთან ერთად მოიხსენიება.

მიღწევები: მას შემდეგ, რაც არველაძემ თურქეთში 4 წელი გაატარა, მის ანგარიშზე მცირე, მაგრამ გამარჯვებები არის. 2010-11 წლების სეზონში „ქაისერში" მას ფაქტობრივად ნულიდან მოუწია დაწყება. უფულობის გამო, მას კლუბში თავისუფალი აგენტების მოყვანა და გუნდის მათით გაძლიერება მოუხდა, საბოლოოდ კი ჩემპიონატი მე-6 ადგილზე დაასრულა.

„ქაშიმფაშას" შოთი 2012 წლის ოქტომბრიდან წვრთნის და უკვე შემდეგი თვიდან, კლუბმა ზემოთ დაიწყო სვლა. ამჯერად კი, სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილს იკავებს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

რედინგი-ქპრ ........ 0:0
ჩელსი-სუონსი ........ 2:0
არსენალი-მანჩესტერი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 27 | 4 | 4 | 79:36 | 85 |
| 2.სიტი | 34 | 21 | 8 | 5 | 61:31 | 71 |
| 3.ჩელსი | 34 | 19 | 8 | 7 | 68:35 | 65 |
| 4.არსენალი | 35 | 18 | 10 | 7 | 66:36 | 64 |
| 5.ტოტენჰემი | 34 | 18 | 8 | 8 | 60:43 | 62 |
| 6.ევერტონი | 35 | 15 | 14 | 6 | 52:38 | 59 |
| 7.ლივერპული | 35 | 14 | 12 | 9 | 66:42 | 54 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 14 | 6 | 14 | 46:44 | 48 |
| 9.სუონსი | 34 | 10 | 12 | 12 | 43:44 | 42 |
| 10.ვესტ ჰემი | 35 | 11 | 9 | 15 | 41:49 | 42 |
| 11.ფულემი | 35 | 10 | 10 | 15 | 44:53 | 40 |
| 12.სტოკი | 35 | 9 | 13 | 13 | 31:41 | 40 |
| 13.საუთჰემპტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 47:57 | 39 |
| 14.ნორვიჩი | 35 | 8 | 14 | 13 | 33:54 | 38 |
| 15.სანდერლენდი | 34 | 9 | 10 | 15 | 38:45 | 37 |
| 16.ნიუკასლი | 35 | 10 | 7 | 18 | 43:66 | 37 |
| 17.ასტონ ვილა | 34 | 8 | 10 | 16 | 36:63 | 34 |
| 18.უიგანი | 34 | 8 | 8 | 18 | 39:62 | 32 |
| 19.ქპრ | 35 | 4 | 13 | 18 | 27:56 | 25 |
| 20.რედინგი | 35 | 5 | 10 | 20 | 37:65 | 25 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-გრანადა ........ 0:1
მალაგა-ხეტაფე ........ 2:1
ვალიადოლიდი-სევილია ........ 1:1
სოსიედადი-ვალენსია ........ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 27 | 4 | 2 | 101:35 | 85 |
| 2.რეალი | 33 | 23 | 5 | 5 | 85:31 | 74 |
| 3.ატლეტიკო | 33 | 21 | 5 | 7 | 58:27 | 68 |
| 4.სოსიედადი | 33 | 16 | 10 | 7 | 61:41 | 58 |
| 5.მალაგა | 33 | 15 | 8 | 10 | 47:38 | 53 |
| 6.ვალენსია | 33 | 15 | 8 | 10 | 54:50 | 53 |
| 7.ბეტისი | 32 | 14 | 6 | 12 | 48:49 | 48 |
| 8.რაიო | 33 | 14 | 3 | 15 | 43:54 | 46 |
| 9.ხეტაფე | 33 | 12 | 8 | 13 | 40:50 | 44 |
| 10.სევილია | 33 | 12 | 7 | 14 | 49:47 | 43 |
| 11.ესპანიოლი | 33 | 11 | 10 | 12 | 42:43 | 43 |
| 12.ვალიადოლიდი | 33 | 10 | 10 | 13 | 42:46 | 40 |
| 13.ლევანტე | 33 | 11 | 7 | 15 | 35:52 | 40 |
| 14.ბილბაო | 33 | 10 | 7 | 16 | 37:59 | 37 |
| 15.ოსასუნა | 33 | 8 | 9 | 16 | 28:38 | 33 |
| 16.გრანადა | 33 | 8 | 8 | 17 | 30:51 | 32 |
| 17.სელტა | 33 | 8 | 6 | 19 | 32:47 | 30 |
| 18.სარაგოსა | 33 | 8 | 6 | 19 | 32:53 | 30 |
| 19.დეპორტივო | 32 | 7 | 9 | 16 | 43:65 | 30 |
| 20.მალიორკა | 33 | 7 | 7 | 19 | 36:67 | 28 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-ხირონა ........ 0:0
მურსია-ალმერია ........ 1:0
უელვა-გვადალახარა ........ 1:0
ნუმანსია-რეალი ბ ........ 3:3

**იტალია. სერია ა**

კიევო-ჯენოა ........ 0:1
პალერმო-ინტერი ........ 1:0
პარმა-ლაციო ........ 0:0
რომა-სიენა ........ 4:0
სამპდორია-ფიორენტინა ........ 0:3
ტორინო-იუვენტუსი ........ 0:2
მილანი-კატანია ........ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 25 | 5 | 4 | 66:20 | 80 |
| 2.ნაპოლი | 34 | 20 | 9 | 5 | 64:32 | 69 |
| 3.მილანი | 34 | 18 | 8 | 8 | 60:38 | 62 |
| 4.ფიორენტინა | 34 | 18 | 7 | 9 | 65:42 | 61 |
| 5.რომა | 34 | 16 | 7 | 11 | 68:54 | 55 |
| 6.უდინეზე | 34 | 14 | 12 | 8 | 46:39 | 54 |
| 7.ინტერი | 34 | 16 | 5 | 13 | 51:46 | 53 |
| 8.ლაციო | 34 | 15 | 7 | 12 | 40:40 | 52 |
| 9.კატანია | 34 | 13 | 9 | 12 | 43:42 | 48 |
| 10.კალიარი | 34 | 11 | 9 | 14 | 41:53 | 42 |
| 11.ბოლონია | 34 | 10 | 10 | 14 | 44:43 | 40 |
| 12.პარმა | 34 | 10 | 10 | 14 | 39:43 | 40 |
| 13.ატალანტა | 34 | 11 | 8 | 15 | 36:49 | 39 |
| 14.კიევო | 34 | 11 | 6 | 17 | 33:49 | 39 |
| 15.სამპდორია | 34 | 10 | 9 | 15 | 38:43 | 38 |
| 16.ტორინო | 34 | 8 | 13 | 13 | 43:49 | 36 |
| 17.პალერმო | 34 | 6 | 14 | 14 | 31:46 | 32 |
| 18.ჯენოა | 34 | 7 | 11 | 16 | 34:51 | 32 |
| 19.სიენა | 34 | 9 | 9 | 16 | 34:49 | 30 |
| 20.პესკარა | 34 | 6 | 4 | 23 | 25:70 | 21 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ემპოლი-ჩეზენა ........ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-აინტრახტი ........ 0:0
შალკე-ჰამბურგი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 27 | 3 | 1 | 90:14 | 84 |
| 2.დორტმუნდი | 31 | 19 | 7 | 5 | 76:36 | 64 |
| 3.ლევერკუზენი | 31 | 16 | 8 | 7 | 59:38 | 56 |
| 4.შალკე | 31 | 14 | 7 | 10 | 54:47 | 49 |
| 5.აინტრახტი | 31 | 13 | 7 | 11 | 43:42 | 46 |
| 6.ფრაიბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 40:37 | 45 |
| 7.გლადბახი | 31 | 11 | 11 | 9 | 38:42 | 44 |
| 8.ჰამბურგი | 31 | 13 | 5 | 13 | 37:50 | 44 |
| 9.ჰანოვერი | 31 | 12 | 5 | 14 | 54:57 | 41 |
| 10.მაინცი | 31 | 10 | 10 | 11 | 36:36 | 40 |
| 11.ვოლფსბურგი | 31 | 10 | 10 | 11 | 41:46 | 40 |
| 12.შტუტგარტი | 31 | 11 | 6 | 14 | 33:50 | 39 |
| 13.ნიურნბერგი | 31 | 9 | 11 | 11 | 34:42 | 38 |
| 14.ვერდერი | 31 | 8 | 8 | 15 | 45:60 | 32 |
| 15.ფორტუნა | 31 | 7 | 9 | 15 | 37:49 | 30 |
| 16.აუგსბურგი | 31 | 7 | 9 | 15 | 30:45 | 30 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 31 | 7 | 6 | 18 | 37:60 | 27 |
| 18.ფიურტი | 31 | 3 | 9 | 19 | 22:55 | 18 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კიოლნი-მიუნხენ 1860 ........ 1:1
პადერბორნი-ალენი ........ 2:2
ზ.პაული-ჰერტა ........ 2:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-სენტ ეტიენი ........ 1:1
ნიცა-ტრუა ........ 3:1
ევიანი-პსჟ ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 22 | 7 | 5 | 61:20 | 73 |
| 2.მარსელი | 34 | 19 | 7 | 8 | 38:32 | 64 |
| 3.ლიონი | 34 | 17 | 9 | 8 | 55:36 | 60 |
| 4.სენტ ეტიენი | 34 | 15 | 13 | 6 | 56:28 | 58 |
| 5.ლილი | 34 | 15 | 12 | 7 | 53:35 | 57 |
| 6.ნიცა | 34 | 16 | 9 | 9 | 51:41 | 57 |
| 7.ლორიენი | 34 | 13 | 11 | 10 | 53:52 | 50 |
| 8.მონპელიე | 34 | 14 | 6 | 14 | 51:45 | 48 |
| 9.ბორდო | 34 | 11 | 15 | 8 | 35:30 | 48 |
| 10.რენი | 34 | 13 | 6 | 15 | 46:49 | 45 |
| 11.ტულუზა | 34 | 10 | 12 | 12 | 40:42 | 42 |
| 12.ვალანსიენი | 34 | 10 | 11 | 13 | 42:48 | 41 |
| 13.ბასტია | 34 | 11 | 7 | 16 | 44:62 | 40 |
| 14.აიაჩო | 34 | 9 | 13 | 12 | 37:46 | 38 |
| 15.რეიმსი | 34 | 9 | 10 | 15 | 31:40 | 37 |
| 16.ნანსი | 34 | 8 | 11 | 15 | 33:49 | 35 |
| 17.ევიანი | 34 | 8 | 10 | 16 | 39:50 | 34 |
| 18.სოშო | 34 | 8 | 10 | 16 | 37:55 | 34 |
| 19.ბრესტი | 34 | 8 | 5 | 21 | 29:53 | 29 |
| 20.ტრუა | 34 | 5 | 13 | 16 | 39:59 | 28 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ტვენტე-ნაიმეგენი ........ 5:2
ზვოლე-უტრეხტი ........ 1:2
ფეიენოორდი-ერაკლესი ........ 6:0
ვიტესი-ტილბურგი ........ 3:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

გიმარაეში-ფერეირა ........ 2:2
ჟილ ვისენტე-ოლჰანენსე ........ 2:0
რიუ ავე-ბეირა მარი ........ 2:1
სპორტინგი-ნასიონალი ........ 2:1
აკადემიკა-მორეირენსე ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სპარტაკი-ანჟი ........ 2:0
უბანი-ზენიტი ........ 2:2
რუბინი-ცსკა ........ 2:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-სელტიკი ........ 3:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუცერნი ........ 0:3
იანგ ბოიზი-ლოზანა ........ 3:1
სტ.გალენი-ციურიხი ........ 1:2

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-ანდერლეხტი ........ 2:1
სტანდარდი-ვარეგემი ........ 1:0

**საბერძნეთი. თასი**

პანთრაკიკოსი-ოლიმპიაკოსი ........ 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ესკიშეჰირი ........ 1:2
გაზიანთეპი-გალათასარაი ........ 0:1
ფენერბახჩე-ქაისერი ........ 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ტეპლიცე-ჰრადეც კრალოვე ........ 0:2
ბოლესლავი-ლიბერეცი ........ 2:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-შლიონსი ........ 4:0
გურნიკი-რუხი ........ 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

შახტარი-მეტალისტი ........ 1:1
კარპატი-ზორია ........ 2:0
კრივბასი-მეტალურგი(დ) ........ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-რანდერსი ........ 1:0
ოდენსე-ბრონდბიუ ........ 1:2
კოპენჰაგენი-ორხუსი ........ 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ჰალმშტადი ........ 3:3
მიალბი-ბრომაპოიკარნა ........ 4:2
ესტერი-ელფსბორგი ........ 1:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-სონგდალი ........ 4:1
რუსენბორგი-ულფი ........ 0:1
სარპსბროგი-ჰონეფოსი ........ 1:1
ტრომსო-ჰაუგესუნდი ........ 2:1
მიოლდე-სტრომგოდსეტი ........ 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჯჯკ-ლახტი ........ 0:0
ვპს-ჰონკა ........ 0:0
კუუპიო-მარიეჰამნი ........ 0:1
როვანიემი-პტს ........ 1:0

**აშშ. მლს**

ჰიუსტონი-კოლორადო ........ 1:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ინდეპენდიენტე-არხენტინოსი ........ 3:1
ოლდ ბოიზი-რასინგი ........ 4:3
რივერ პლეიტი-ქილმესი ........ 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

ბოსტონი-ნიუ იორკი ........ 97:90
სერიის ანგარიში: ........ 1:3
მილუოკი-მაიამი ........ 77:88
სერიის ანგარიში: ........ 0:4
ლეიკერსი-სან ანტონიო ........ 82:103
სერიის ანგარიში: ........ 0:4
გოლდენ სტეიტი-დენვერი ........ 115:101
სერიის ანგარიში: ........ 3:1

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ბოსტონი-ოტავა ........ 2:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2013, 30 აპრილი, №101

# კაირატი ფუტსალში უძლიერესია

## რატომ წავიდა ბენატი

თბილისის სპორტის სასახლემ უეფას ფუტსალის ფინალურ ეტაპს უმასპინძლა. ტიტულისთვის „იბერია სტარი“, მოსკოვის „დინამო“, ალმატის „კაირათი“ და „ბარსელონა“ იბრძოდნენ.

„იბერია სტარსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის გამართულ ნახევარფინალში, გამარჯვებული რუსები აღმოჩნდნენ. უნდა ითქვას, რომ უმწვრთნელოდ და წამყვანი ფეხბურთელების გარეშე დარჩენილმა იბერიელებმა ვერაფერი გააწყვეს მეტოქის წინააღმდეგ. ქართულ გუნდს აკლდა კრეატივი, აგრესიულობა, შემოქმედებითობა. სწორედ ეს ფაქტორები აღმოჩნდა გადამწყვეტი. საბოლოოდ, 5:2 „დინამოს“ სასარგებლოდ.

მეორე ნახევარფინალური მატჩი გაცილებით თვალსასეირო და უხვგოლიანი გამოდგა. ყველასთვის მოულოდნელად „კაირატმა“ 5:4 დაამარცხა ფავორიტად მიჩნეული „ბარსელონა“.

მესამე ადგილისთვის მატჩში „იბერია სტარმა“ „ბარსელონასთან“ 1:4 წააგო, მედალოსნები კატალონიელები გახდნენ. სამწუხაროდ, უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალში საქართველოს ჩემპიონმა ვერც ერთი თამაშის მოგება შეძლო.

ტურნირის წინ, ფავორიტებად „ბარსელონასა“ და „დინამოს“ მიიჩნევდნენ, თუმცა ყაზახურმა კლუბმა ეს მითი გააქარწყლა. „კაირატი“ ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა გახდა.

მატჩის პირველმა ათწუთიანმა მონაკვეთმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა. ერთ-ერთი აქტიური, ყოფილი იბერიელი, ფუმასა იყო, რომელმაც ერთ ეპიზოდში 100-პროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან და ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა – მოსკოველთა მეკარის და კაპიტნის ალექსეი პოპოვის შეცდომა, რასაც ავტოგოლი მოჰყვა, სერგეი სერგეევმა გამოასწორა – 1:1. შესვენების შემდეგ ალმატელებმა ზედიზედ 3 გოლი გაიტანეს: ლეო სანტანამ, ფუმასამ და მეკარე იგიტამ დაარტყეს ზუსტად. მიუხედავად იმისა, რომ ტატუმ და სირილიომ ერთი წუთის ინტერვალით 2 ბურთი გაქვითეს, დინამომ შეხვედრის გადარჩენა ვეღარ შეძლო – 3:4.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ალექსანდრე მორაესი დასახელდა.

მატჩის შემდეგ

კაკაუ (კაირათი):

– ფინალში ძლიერ გუნდს შევხვდით. ამ გამარჯვებას მთელ ყაზახეთს ვუძღვნი. ჩვენ ტიტული მოვიპოვეთ და ძალიან გახარებულები ვართ ამის გამო. „დინამო“ ძალიან რთული მეტოქეა. საბედნიეროდ, შევძელით მათი დამარცხება. ვულოცავ ჩვენს გულშემატკივარს ამ დიდ წარმატებას.

ჟოანი:

– მადლობა ღმერთს, რომ მოვიგეთ. „დინამო“ ძლიერი გუნდია, რომელშიც დიდხანს ვთამაშობდი. დღეს ჩვენ უკეთესად ვიასპარეზეთ, რის წყალობითაც მოვიგეთ კიდეც. მე „იბერია სტარში“ ვთამაშობდი. ძალიან კარგი გუნდია. სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს ფინალში გასვლა. იმედი მაქვს, მომავალ წელს მიაღწევენ წარმატებას. ჩემთვის სასიხარულო იყო ის, რომ თბილისში ჩატარდა ტურნირი, აქ ჩემთვის ნაცნობი გარემოა.

ფაუსტინო პერესი (დინამო):

– ვულოცავ გამარჯვებულებს, დაიმსახურეს მოგება. ძალიან ვნერვიულობდით და ამან გამოიწვია წაგება. სამწუხაროდ, შეტევაში ცუდად ვთამაშობდით. გოლის გატანამდე ბევრი შანსი ვერ გამოვიყენეთ. მათი პირველი გოლის შემდეგ, გათანაბრების სტიმული მოგვეცა. პირველ ეტაპზე 3-4 ძალიან რეალური შანსი გვქონდა. 1:1-ზე ნაკლებად ვუტევდით. მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დავიწყეთ, ძალიან ნერვიულობდნენ ბიჭები. უნდა ვაღიარო მოწინააღმდეგე გუნდის დაცვისა და მეკარის თამაში. მესამე გოლი კონტრშეტევაზე გაგვიტანეს, არ ველოდით. ვერ შევძელით დაცვაზე მობილიზება, ამიტომაც შევიყვანეთ მეკარე-მოთამაშე. „კაირათი“ 5-ჯერ თამაშობდა ფინალურ ეტაპზე, ამიტომ ძალიან გამოცდილი გუნდია. შესაძლებელია ფსიქოლოგიურ მომენტსაც ჰქონოდა ადგილი. არ მიფიქრია წინასწარ, ვის ვეთამაშებოდი ფინალში. ტურნირის წინ სამივე გუნდისთვის ვემზადებოდით. „ბარსელონაზე“ უფრო იოლი იყო ინფორმაციის მოპოვება.

პოპოვი:

– ის ცდება, ვინც არაფერს აკეთებს. ფუტსალი ძალიან დინამიური თამაშია და შეცდომებიც ხშირია. მე შევცდი, მაგრამ ეს გოლი არ იყო გადამწყვეტი. ფავორიტის როლს ვერ გავუმკლავდით სამწუხაროდ.

როგორც უკვე გითხარით, „იბერია სტარმა“ ტურნირი ორი წაგებით დაასრულა და სავსებით ლოგიკურ მეოთხე ადგილს დასჯერდა. ასევე გითხარით, რომ გუნდი უმწვრთნელოდ დარჩა – ტურნირის დაწყებამდე 10 დღით ადრე, გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა ბარაზილიელმა სერჟიო ბენატიმ, რომლის სახელსაც უკავშირდება კიდეც „იბერიას“ ოთხთა ფინალში გასვლა.

მის ნაცვლად კი გუნდი ასისტენტმა, ალიკ სარქისიანმა ჩაიბარა. თავისთავად ეს დრო ახალი მთავარი მწვრთნელისთვის, ასეთი რანგის ტურნირს წინ, გუნდის სათანადოდ მოსამზადებლად საკმარისი ვერ იქნებოდა, რაც თავად სარქისიანმაც აღიარა. ასეთ დროს, მწვრთნელის შეცვლა, რომ ვერანაირ ლოგიკურ ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა, ცხადი იყო ყველასთვის.

აქამდე არსებული ინფორმაციით, ბენატის გუნდიდან წასვლა მის ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდებოდა, თუმცა რამოდენიმე დღის წინ „ფუტსალ პლანეტმა“ ბენატის კომენტარი გამოაქვეყნა, სადაც იგი გუნდის დატოვების მიზეზად კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დეტალების შეუთანხმებლობას ასახელებს.

სერჟიო ბენატი:

– კლუბში მთავარი მწვრთნელიც მე ვიყავი, მეკარეებსაც მე ვწვრთნიდი და გუნდს ფიზიკურადაც მე ვამზადებდი. გარდა ამისა, ახალი ფეხბურთელების მოძიებასა და გუნდში მოყვანაზეც მე ვიყავი პასუხისმგებელი. ამის გამო გადავწყვიტე კლუბის ხელმძღვნელობას საკუთარი კონტრაქტის პირობების გადახედვაზე დაველაპარაკებოდი. მიუხედავად უამრავი მცდელობისა, ამან შედეგი არ გამოიღო და გადავწყვიტე ყველაფერი დამესრულებინა. გუნდი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩავიბარე და საბოლოოდ მოვახერხეთ, რომ ოთხთა ფინალში გავსულიყავით. ეს ჩემთვის მესამე ფინალი უნდა ყოფილიყო. გუნდის დატოვების გადაწყვეტილება კი „არაზთან“ ამხანაგური მატჩის შემდეგ მივიღე. თუმცა დეტალების გახმაურებისგან თავს შევიკავებ.

# გრიგოლ რობაქიძის პირად არქივზე მუშაობა დასრულებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნი, რესტავრაცია-დიგიტალიზაცია-მონაცემთა ბაზები, სამუშაო ენებია ქართული და ინგლისური. თეზისები წარდგენის ბოლო ვადაა 15 მარტი. ნაშრომი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული და არ უნდა იყოს წაკითხული სხვა კონფერენციაზე. თეზისებში ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი კვლევის შედეგები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ხელნაწერი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასში ასახულია ქართული დამწერლობის, ენისა და ინტელექტის – ფილოსოფიური, ლიტერატურული, სამართლებრივი და მეცნიერული აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები, ქართველი ხალხის კულტურული კონტაქტები გარე სამყაროსთან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულია ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლები

– ხელნაწერი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა და მეცნიერთა პირადი არქივები, ძველი ბეჭდური გამოცემები. სამეცნიერო წრეებისათვის არანაკლები მნიშვნელობისაა ცენტრში დაცული სხვადასხვაენოვანი

მასალაც – ბერძნული, არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, სომხური, სლავური,

ლათინური და სხვ. უძველესი ხელნაწერები, დოკუმენტები თუ ძველნაბეჭდი წიგნები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები თავისი მრავალფეროვნებითა და სიძველით

იზიდავს ქართველ თუ უცხოელ მეცნიერებს და არაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის, ახალი იდეის გაჩენის, კონცეფციის ჩამოყალიბების წყაროა. ხელნაწერი მემკვიდრეობის სამეცნიერო შესწავლასა და პოპულარიზაციასთან ერთად, ამ მასალაზე ზრუნვა – ხელნაწერთა კონსერვაცია-რესტავრაცია, აღნუსხვა-აღწერა, დიგიტალიზაცია, საინფორმაციო მონაცემთა ბაზების შექმნა – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. 2009 წელს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსებიდან 50-ე წლის იუბილესთან დაკავშირებით, საფუძველი ჩაეყარა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმს „ქართული ხელნაწერი“. მაშინვე გადაწყდა, რომ ამგვარი

სამეცნიერო ფორუმი რამდენიმე წელიწადში ერთხელ გამართულიყო. წლევანდელი სიმპოზიუმის მიზანია, საშუალება მისცეს ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერებს, წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები სხვადასხვა კვლევითი სფეროების მიხედვით. სიმპოზიუმის სათაური გულისხმობს, რომ ძირითადი ყურადღება ქართული მასალის მიმართ იქნება მიპყრობილი, თუმცა ფორუმი სხვაენოვანი ხელნაწერი მემკვიდრეობის მონაწილეობის მკლევართაც აძლევს საშუალებას, – აღნიშნულია განცხადებაში.

# სამხატვრო აკადემიაში ქვაში ნაკვეთი ქანდაკებები გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

30 აპრილს სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში გაიხსნება თვითნასწავლი მხატვრის მეგი ფაჩულიას ქვაში ნაკვეთი ქანდაკებების პირველი პერსონალური გამოფენა.

როგორც სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელი ნათია პავლიაშვილი აცხადებს, მეგი ფაჩულია 26 წლისაა, ის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონიდანაა. ხელოვანს არ გააჩნია არანაირი განათლება ხელოვნების დარგში, მის მიერ შექმნილი ნამუშევრები, შესრულებულია დაუმუშავებელი ქვის მასალით, რომელსაც სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვებს. გოგონას, მხოლოდ საშუალო განათლება აქვს. მეგი ფაჩულიას ნამუშევრების გამოფენა სამხატვრო აკადემიაში 2 მაისამდე გაგრძელდება.

მეგი ფაჩულიას ნამუშევრების გამოფენამდე სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში გაიმართა პროექტის პრეზენტაცია „მარმარილოს ეფექტით მოჩითვა“. პროექტის ავტორი და შემსრულებელი სამხატვრო აკადემიის პროფესორი მარიამ ბერიძე აღმოჩნდა.

– პროექტი მიეკუთვნება დეკორატიულ-დარგობრივი ხელოვნების სფეროს და წარმოადგენს „ებრუს“ ტექნოლოგიაში შესრულებულ ექსკლუზიურ საავტორო ხელოვნების ნიმუშთა ექსპოზიციას. „ებრუ“ თურქული ტექნოლოგიაა, რომლის წარმოშობას შუა აზიაში ეძებენ, ნიშნავს ქაღალდზე და ქსოვილზე მარმარილოს ეფექტით ბეჭდვას, – განაცხადა მარიამ ბერიძემ.

მარიამ ბერიძის „ებრუს“ ტექნოლოგიაში შესრულებული ნამუშევრები – ეს არის რთული, შრომატევადი კომპოზიციების შექმნის უნიკალური ხელოვნება. მისი ძირითადი პრინციპია: სპეციფიკური ტექნოლოგიით შედგენილი წყლის ზედაპირზე საღებავების გაბნევა მარმარილოს ეფექტით.

# დღეს ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი

დღეს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, დღის მეორე ნახევარში ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი. როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს ბარში ხვალ უნალექო დღე იქნება, მთიან რეგიონებში კი ხანმოკლე წვიმაა ნავარაუდევი. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი წამში. ბარში 28, მთაში 25, მაღალ მთაში კი 23 გრადუსი სითბო დაფიქსირდება.

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში, დღის მეორე ნახევარში წვიმაა მოსალოდნელი, თუმცა ტემპერატურა არ დაიკლებს და ბარში 29, მთაში 26, ხოლო მაღალ მთაში 21 გრადუსს მიაღწევს. დაბლობში იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი წამში.

დღეს დღის მეორე ნახევარში მცირე ნალექი თბილისშიც არის მოსალოდნელი. აქაც იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი წამში. ჰაერი კი კვლავ 28 გრადუსამდე გათბება.

**მედიანიუსი**

# ომარ კელაპტრიშვილს 70 წლის იუბილეზე ძეგლი დაუდგეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სამარხში ჩაყოლებულ სალამურს შევეხე და საუკუნეების შემდეგ ავახმიანე,“ – სიამაყით უთქვამს ერთხელ მას.

ომარ კელაპტრიშვილი იყო სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავი“-ს ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი და უცვლელი სოლისტი. მან დააარსა ანსამბლი „იავნანა“ , რომელსაც შემდგომში მის პატივსაცემად „კელაპტარი“ დაერქვა.

ომარ კელაპტრიშვილმა მშობლიურ სოფელ კავთისხევში ორსართულიანი სახლი აიშენა, რომელიც მის სიცოცხლეშივე ქართველ ხელოვანთა და მწერალთა თავშესაყარად იქცა და 2003 წელს იქ მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა. სახლ-მუზეუმში გამოფენილია უნიკალური ექსპონატები, აუდიო კასეტები, კომპაქტდისკები, ქართული ხალხური საკრავების ისტორიის ამსახველი მასალები, მისი საკონცერტო აფიშები, პირადი ნივთები – სიგელები, მედლები, საჩუქრები, სალამურები, ფანდურები, რომელზეც მართლაცდა ვირტუოზი ხელოვანი უკრავდა.

49 წლის ასაკში გარდაცვლილი სალამურის ლეგენდა ომარ კელაპტრიშვილი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს. მის პატივსაცემად, კავთისხევის საჯარო სკოლას მისი სახელი მიენიჭა, ქალაქ თბილისში მის საცხოვრებელ სახლზე გაკრულია მემორიალური დაფა, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერიც მისი სახელობისაა, სადაც მისივე ბიუსტია აღმართული. ამჯერად უკვე ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი მისივე მშობლიურ ქალაქში კასპშია აღმართული.

– მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ავტორს, რომელმაც შექმნა ეს ბიუსტი, ყველას, ვინც ჩამოვიდა კასპში და ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნას პატივი მიაგო. ომარ კელაპტრიშვილი მოღაწეობდა ანსამბლ „რუსთავში“ და ეს ამ ანსამბლისთვის დიდი პატივია. დიდებული დღეა, კასპში, ომარის მშობლიურ მხარეში მისი ძეგლი გაიხსნა, თავი მოიყარა ქართულმა საზოგადოებამ, ჩატარდა კონცერტი და მგონია, რომ მას დიდი პატივი და ყურადღება სჭირდება, რადგან მან პირველმა შორს გაუთქვა სახელი ქართულ სალამურს, ქართულ მელოდიებს, მან ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად მოიარა არაერთი ქვეყანა და უდიდესი წარმატებითაც, მაყურებელი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანს, – აღნიშნა ანსაბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა.

– დიდებული დღეა ჩემს ცხოვრებაში და ამავე დროს საოცრად ამაღელვებელიც. გაიხსნა მის მშობლიურ კასპში მისი ძეგლი, მას წელს 70 წელი შეუსრულდებოდა. ალბათ მისი სული ზეიმობს ზეცაში, რადგან ძალიან უყვარდა თავისი კუთხე და ყოველთვის კარგი სურდა აქაურობისთვის, – აღნიშნა ომარ კელაპტრიშვილის მეუღლემ ციმი კელაპრტრიშვილმა.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. მარცვლეული მცენარე; 3 მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი საქართველოში; 4. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 5. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 11. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. უაზრობა, შეუსაბამობა; 15. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 16. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 17. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა.

**შვეულად:** 6. ქალაქის თავი გერმანიაში; 7. ზღვების, ტბების და ოკეანეების ფსკერზე მცხოვრებ ორგანიზმების საერთო სახელწოდება; 8. ლატვიელი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 13. თაფლგამოცლილი ფიჭა; 14. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 19. ფრანგული მინერალური წყალი; 21. წრეხაზის ნაწილი; 22. რეგიონი კახეთში; 23. ყველაზე ღრმა ტბა აფრიკაში; 24. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ბარაკუდა; 6. კრედიტორი; 9. კეფალი; 10. ემისია; 11. არაყი; 13. ეკალი; 15. ბერისო; 18. დაიმი; 21. პესიმიზმი; 22. ერითემა; 23. ნიუტონი.

**შვეულად:** 1. ზამბეზი; 2. მარლენ; 3. რეიტინგი; 4. რიტორიკა; 7. მისტაგოგი; 8. სარაფანი; 12. სკალპელი; 14. მენეჯერი; 16. სადბერი; 17. ზიგზაგი; 19. აზრი; 20. ათაი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ირონია; 2. ნო; 3. მე; 4. ლოო; 5. შტო; 6. ემილ; 7. ლეანდრო; 8. მაია; 9. დო; 10. აიაზმა; 11. კამიუ; 12. ორთი; 13. იდო; 14. კადრილი; 15. მარადია; 16. ზრო; 17. ენკე; 18. მკათათვე; 19. ირაო; 20. იდიია; 21. სათლი; 22. მარკ; 23. „რამაიანა“; 24. კროლი; 25. პი; 26. ოსტატი; 27. იიპე; 28. სოია; 29. კიპუ; 30. იორი; 31. კაა; 32. არსი; 33. პაპირუსი; 34. აპრიორი; 35. მუსკატი; 36. სი.

**სურათებზე:** ავრილ ლავინი; პატრიკ კლუივერტი.

# პალესტინელებმა ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტები გაუშვეს



ღაზას სექტორში მოქმედმა მებრძოლებმა, ისრაელის სამხრეთ ნაწილების მიმართულებით რაკეტები გაუშვეს. ამის შესახებ ისრაელის სამხედრო სარდლობა იუწყება.

დაბომბვის შედეგად არავინ დაშავებულა. რაკეტა დასახლებული ადგილებისგან მოშორებით აფეთქდა.

აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ღაზას სექტორში მოქმედ არც ერთ პალესტინურ დაჯგუფებას ჯერჯერობით საკუთარ თავზე არ აუღია.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ პირობა დადო, რომ ისინი უპასუხოდ არც ერთ სარაკეტო თავდასხმას არ დატოვებდნენ.

პალესტინამ ბოლო დღეების განმავლობაში ისრაელზე თავდასხმა მეორედ განახორციელა. გუშინ პირველ თავდასხმას ისრაელმაც უპასუხა და ღაზას სექტორში, პალესტინელი ტერორისტების სამხედრო ბაზაზე საჰაერო იერიში მიიტანა.

„ესოშიეითედ პრესის" ინფორმაციით, თელ-ავივმა აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მოძრაობა ჰამასის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ისრაელის სამხრეთ რაიონები დაიბომბა.

ისრაელის სამხედროების ინფორმაციით, იერიში საწვრთნელ ბაზაზე და იარაღის საწყობზე მიიტანეს. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ერთი თვის წინ ისრაელმა, ჰამასის მხრიდან აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვიზიტის დროს განხორციელებული სარაკეტო შეტევის შემდეგ, ღაზას სექტორის ბლოკადა გაამკაცრა.

# ჩეხეთში აფეთქების შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა

ჩეხეთის დედაქალაქში დილით მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა 40 მდე გაიზარდა. „ესოშიეითედ პრესი" ადგილობრივ პოლიციასა და მაშველებზე დაყრდნობით ავრცელებს.



აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ ახლომდებარე შენობებს ფანჯრები ჩამოეფშვნათ, ქუჩაში კი ნანგრევებია მიმოფანტული.

ამავე დროს, გარდა 40 დაზარალებულისა, კიდევ არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე ადამიანი ნახევრად დანგრეული შენობის ნანგრევებს ქვეშ იყოს მოყოლილი. ინფორმაციას ამის შესახებ

ამჟამად რაიონი, სადაც აფეთქება მოხდა, გადაკეტილია. პოლიციას ჯერჯერობით არ გააჩნია ინფორმაცია აფეთქების მიზეზების შესახებ. მანამდე, ერთ-ერთ ვერსიად გაზის გაჟონვა სახელდებოდა.

პოლიციის ინფორმაციით, ძალიან დაზიანდა იმ შენობის პირველი სართული, სადაც აფეთქება მოხდა.

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ზეინაბ ლურსმანაშვილი, შვილები ზურა და მაია გოგიშვილები, მამიდაშვილი ნანა თედელური-გოგიაშვილისა ოჯახით, რძალი მერი ხეცაძე, ცოლის დედმამიშვილები ზაური და ნანო ლურსმანაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ ვლადიმერის ძე გოგიშვილი**

პანაშვიდი: 30 აპრილს, 1 მაისს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 2 მაისს, 14 საათზე.
მისამართი: ი.ხვიჩიას 13/15.

სერგო მანჯგალაძის ოჯახი იზიარებს მერაბ და ნანა გიორგიძეების მწუხარებას ქალბატონი ნანას დედის

**ვალენტინა ხარიტონის ასულ ჩხარტიშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პრეზიდენტს ერთთვიანი პატიმრობა მიესაჯა

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ფედერაციის პრეზიდენტს ჟივკო ბუდიმირს, კიდევ ოთხ მაღალჩინოსანთან ერთად, ერთი თვით პატიმრობა მიესაჯა.



მათბრალდებულების შეწყალებისათვის ქრთამის აღებაში ედებათ ბრალი. პარასკევს ადგილობრივმა სამართალდამცავმა ორგანოებმა სპეცოპერაციის ფარგლებში მთლიანად ოცი ადამიანი აიყვანეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბუდუმირისა და მაღალჩინოსნების გათავისუფლება გონივრული გადაწყვეტილება არ იქნება, რადგან მათ შესაძლოა ქვეყნის დატოვება სცადონ და გამოძიებას ხელი შეუშალონ.

ადვოკატები სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავენ. პარტია „სამართალისა და ნდობის" განცხადებით, რომელსაც ბუდიმირი ხელმძღვანელობს, „ბუდიმირის დაჭერა საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის გამო მოხდა".

ცნობისთვის, ბოსნია და ჰერცოგოვინა 1945 წლიდან იყო იუგოსლავიის ფედერაციაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკა. 1990 წლის არჩევნების შემდეგ სათავეში ნაციონალისტები მოვიდნენ. სერბულ-ხორვატული კონფლიქტი გავრცელდა ბოსნიის ტერიტორიაზეც და 1991 წელს სერბთა არმიამ დაიკავა მოსაზღვრე რაიონები. რესპუბლიკამ გამოაცხადა სუვერენიტეტი, რასაც წინ აღუდგა სერბი მოსახლეობა. გაჩაღდა კონფლიქტი ეროვნულ ნიადაგზე.

1992 წელს ევროკავშირმა და აშშ-მ ცნო ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობა. იმავე წელს მიღებულ იქნა გაეროს შემადგენლობაში. გაეროს კონტინგენტისა და ნატოს ჯარების ჩარევის შედეგად მოხერხდა კონფლიქტის შეჩერება. 1997 წელს ჩატარდა მრავალეროვნული არჩევნები.

ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული ურთიერთობები ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ხოლო ეკონომიკა ღრმა კრიზისშია. დეიტონის შეთანხმებით, აქ ფაქტობრივად გაეროს პროტექტორატია დამყარებული. საერთაშორისო კონტროლის მოხსნის შემთხვევაში, ფედერაციის სუბიექტები სავარაუდოდ ერთმანეთს დაშორდებიან, რადგან სეპარატისტული ტენდენციები ძლიერია.

# სირიის პრემიერი ტერაქტს გადაურჩა

დამასკოს ცენტში სირიის პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა მოხდა. არსებული ინფორმაციით, პრემიერი ცოცხალი გადარჩა. თავდასხმის შედეგად გარდაცვლილია ვაელ ალ ხალკის ერთი პირადი მცველი. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „როიტერი" ავრცელებს. ამას გარდა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ აფეთქების შედეგად ექვსი ადამიანია გარდაცვლილი და 13 დაჭრილი.



გავრცელებული ინფორმაციით, უცნობ პირებს პრემიერ-მინისტრის კორტეჟის აფეთქების მცდელობა ჰქონდათ. მომხდარის დეტალები ამჟამად დგინდება.

ამ ფონზე, ამერიკის რესპუბლიკელმა სენატორებმა ქვეყნის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სირიის სამოქალაქო ომში ჩარევისაკენ მოუწოდეს—მათი თქმით, ამერიკას შეუძლია სირიის საჰაერო ბაზებზე მიიტანოს იერიში, თუმცა იქ ჯარისკაცების გაგზავნა არ უნდა მოხდეს.

შეგახსენებთ, გასულ კვირას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შესაძლებელია კონფლიქტის დროს ქიმიური იარაღი იქნა გამოყენებული.

„სირიის სამთავრობო ძალების საჰაერო უპირატესობის განეიტრალებამ, შესაძლოა, ბრძოლის მსვლელობა სწრაფად შეცვალოს. ერთი გზა, რითაც სირიის საჰაერო ძალების შეჩერება შეიძლება, არის საჰაერო ბაზების დაბომბვა", — განაცხადა გუშინ რესპუბლიკელმა სენატორმა ლინდსი გრაჰამმა „სიბიესისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

„როიტერის" ცნობით, სენატორმა ჯონ მაკკეინმა გუშინ განაცხადა, რომ ამერიკამ აუცილებლად უნდა დაუჭიროს მხარი სირიელ ამბოხებულებს, იმის მიუხედავად, გამოიყენეს თუ არა ასადის ძალებმა კონფლიქტში მომწამვლელი გაზი.

გაეროს მონაცემებით, 2011 წლის მარტში დაწყებულ კონფლიქტს 70 000 ადამიანი ემსხვერპლა.

# ნიუ-იორკ თაიმსი: „სიაიეი" ავღანეთის პრეზიდენტის ოფისს მილიონებს უგზავნიდა



„ნიუ-იორკ თაიმსის" ინფორმაციით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (სიაიეი) ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის ოფისს დაახლოებით ათწლეულის განმავლობაში მილიონობით ამერიკულ დოლარს უგზავნიდა. გამოცემა ამ ინფორმაციას ავღანეთის ლიდერის ახლანდელ და ყოფილ მრჩეველებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ამ ფულის მიზანი სააგენტოს გავლენის გაზრდა იყო, თუმცა სინამდვილეში აღნიშნული ქვეყანაში კორუფციის კიდევ უფრო ხელისშემწყობი ფაქტორი გახდა: „ავღანეთში კორუფციის უმსხვილესი წყარო ამერიკა იყო", — აღნიშნავს გამოცემასთან საუბრისას ამერიკელი მაღალჩინოსანი.

არც ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს, არც სახელმწიფო დეპარტამენტს ამ დროისათვის აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

„ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ავღანეთის პრეზიდენტის ოფისი ნაღდ ფულს ყოველთვიურად იღებდა. ავღანეთის ოფიციალური პირის თქმით, ზუსტად არ შეიძლება იმის თქმა, იღებდა თუ არა ამ ფულს ყარზაი პირადად. მისი თქმით, ფული ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელში იყო.

2010 წელს ყარზაიმ განაცხადა, რომ მან ფულადი დახმარება ირანისგან მიიღო, რომლის მიზანიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯების დაფარვა იყო. პრეზიდენტმა მაშინ ისიც დაამატა, რომ მსგავსი დახმარება ამერიკისგანაც ჰქონდათ მიღებული.

ყარზაის 11 წლიანი მმართველობის დროს ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ფაქტობრივად არაფერი გაკეთებულა.

ჰამიდ ყარზაი (დ. 24 დეკემბერი, 1957) ავღანეთის პრეზიდენტია 2004 წლის 7 დეკემბრიდან. 2001 წლის დეკემბრიდან გარდამავალი ადმინისტრაციის თავმჯდომარე, 2002 წლიდან დროებით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

დაიბადა ყანდაგარში გავლენიან პუშტუნთა ტომის, პოპულზაის ოჯახში, რომლის წარმომადგენლები ავღანეთს მართავდნენ ორი ასეული წლის განმავლობაში. განათლება მიიღო ქაბულში, ხოლო ავღანეთში საბჭოთა ჯარების შემოსვლის შემდეგ 1979 წლიდან ოჯახის პაკისტანში ემიგრაციიდან ჰიმჩალის უნივერსიტეტში სწავლობდა (ინდოეთი). ფლობს ხუთ ენას — პუშტუს, დარის, ურდუს, ჰინდის, ინგლისურსა და ფრანგულს.

*მოამზადა გვრა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

სამშაბათი
30 აპრილი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.00 „მოამბე„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე სნაიპერი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 დ/ფ „ფეხბურთის მეამბოხენი„ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 00.30 მხ/ფ „მამაკაცები არ მიდიან„ (ტიტ.) (ჯ.ლენგი)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ I ნაწ. 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 5 ნაწ. 16.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 ქ/სერ „ეჰ, მეგობრებო„ 2 სერ. 14.40 კონცერტი: ერისიონი (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საზავშვო ხმა 00.15 მხ/ფ „დედოფალი მარგო„ (ვ.პერესი) 02.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „გრიმი„ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „შორია გურჯისტანამდე„ 07.05 დოკ/ფ „სარფი მოლენა„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ქრისტიანული სწავლება 10.55 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ „გზა„ II ნაწ. 13.15 კონცერტი - ლიანა ისაკაძე 14.15 დოკ/ფ „ვნების კვირა წმინდა მიწაზე„ II ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 ეთნოგრაფია 15.40 საღვთისმსახურო წელიწადი 16.00 დოკ/ფ „წმინდა ოთხავი„ მათეს სახარება II ნაწ. 16.55 დიდი მარხვა 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „ჩემი ქვეყანა„ 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ჩვენი ბიბლიოთეკა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.45 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 კარაბადინი

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00 ახალი ამბები 8.10, 9.15, 10.15 მაღვიძარა 9.00, 10.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 11.00, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30, 16.40 აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „სუბ. აზრი„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 აპრილი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6497

ევრო — 2,1448

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5499

100 რუსული რუბლი — 5,2842

**ამინდის პროგნოზი 30 აპრილისთვის**





## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




**უკვე გამოსულია:**

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## გადავარჩინოთ კინოთეატრი „აპოლო“!

*ეკა ირემაშვილი*

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი კინოთეატრის „აპოლოს“ გადასარჩენად „ტფილისის ჰამქარმა“ და კინოხელოვნების ცენტრმა „პრომეთემ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას ღია წერილი გაუგზავნა. ტფილისის ჰამქარის ხელმძღვანელის თამარ ამაშუკელისა და კინოხელოვნების ცენტრის „პრომეთე“ ხელმძღვანელმა გაგა ჩხეიძემ წერილში ყველა ის პრობლემა გააჟღერეს, რომელიც უძველეს კინოთე-



ატრს დღემდე აქვს. „ახალი თაობა“ კულტურის მინისტრისადმი მიწერილ ღია წერილს უცვლელად გთავაზობთ:

„გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ კულტურის ერთ კერაზე, რომელსაც საფრთხე ემუქრება. საქმე ეხება მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს კინოთეატრს, რომელიც თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს და რომელმაც, უკვე ოცი წელია, თავისი ფუნქცია დაკარგა და მოუვლელობის გამო განადგურების პირასაა. კინოთეატრი „აპოლო“ ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია როგორც არქიტექტურის, ასევე ქართული კინემატოგრაფის ისტორიისთვის. რუსი არქიტექტორის, კოლჩინის მიერ „მოდერნის“ სტილში აგებული შენობა 1909 წლის 30 მარტს გაიხსნა, როგორც პირველი კინოთეატრი საქართველოში. თავისი პირველადი დანიშნულებისთვის ამ შენობას არასდროს უღალატია. ოთხმოცი წლის მანძილზე ის ერთგულად ემსახურებოდა კინოხელოვნებას. ასეთი ძველი კინოთეატრი, რომელსაც თავისი ფუნქცია დღემდე არ შეუცვლია, მსოფლიოში სულ რამდენიმეა, მაგალითად „ბიოგრაფ თეატრი“ დანიის ქალაქ კორსორში (1908) და „ჰელიოსი“ პოლონეთის შცეცინში (1909), იმდროინდელ გერმანიაში.

2002 წელს კინოთეატრი „აპოლო“ სს „ქართული ფილმის“ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კულტურის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის თანხმობით 500 000 ლარად მიჰყიდა კერძო პირს იმ პირობით, რომ კინოთეატრს ათი წლით პროფილი შეუნარჩუნდებოდა და ახალი მეპატრონე მილიონნახევარი ლარის ინვესტიციებს განახორციელებდა. ახალმა მეპატრონემ კი ზუსტად ერთი თვის შემდეგ შენობა გაასხვისა იმავე ფასად. კინოთეატრის მფლობელი მას შემდეგ შპს „თეატრები აპოლო“-ა. ახალმა მეპატრონემ კინოთეატრი ვერ აამუშავა. ამასობაში ათი წელიც გავიდა და შენობა შესაძლოა გაიყიდოს.

რა თქმა უნდა, დასაშვებია, რომ დღევანდელმა მფლობელებმა „მოდერნისა“ და ნეოკლასიციზმის ეს იმპოზანტური ნიმუში აღადგინოს და ძველებური სილამაზეც დაუბრუნოს, მაგრამ თუ შენობამ თავდაპირველი დანიშნულება დაკარგა და სავაჭრო ცენტრად იქცა, ის გაქრება, როგორც კულტურის კერა და ეროვნული კინემატოგრაფის ისტორიული მეხსიერება. ჩვენ კი ეს არ უნდა დავუშვათ.

დღევანდელი ქართული კინოსაზოგადოება მოწადინებულია, შეინარჩუნოს აღმაშენებლის გამზირზე არსებული უნიკალური ძეგლები, რომლებსაც ქართული, და თუ გნებავთ, მსოფლიო კინოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და ერთიან კომპლექსად განიხილება. ეს გახლავთ 20-იან წლებში აშენებული პავილიონი ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე, კინომუზეუმი კარგარეთელის ქუჩაზე და კინოთეატრი „აპოლო“.

ბატონო გურამ, გთხოვთ, ყველაფერი იღონოთ ძეგლის გადასარჩენად და კულტურის მნიშვნელოვანი კერის შესანარჩუნებლად. სახელმწიფომ უნდა განიხილოს შენობის გამოსყიდვის შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ უნდა შედგეს შეხვედრა კინოთეატრის მფლობელებთან, რათა მიღებულ იქნას ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება“. მოახდენს თუ არა რეაგირებას ამ ღია წერილზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და კონკრეტულად რა ღონისძიებებს გაატარებს კინოთეატრის „აპოლო“ გადასარჩენად, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

## ქანტურიათი ტორინო დაინტერესდა

იტალიური მედიის ცნობით, გიორგი ქანტურიათი სერიას ა-ს ბინადარი „ტორინო“ დაინტერესდა.

როგორც ირკვევა, „ტორინოს“ სპორ-



ტული დირექტორი მარტში დაინტერესდა „ალანიას“ ქართველი ფორვარდით. „ტორინოს“ წარმომადგენლები, ავსტრიაში ოთხთა ტურნირს დასწრებიან, სადაც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებიც თამაშობდა და ქანტურიამ გოლები გაიტანა.

როგორც იცით, ქანტურია ჰოლანდიური „ვიტესის“ საკუთრებაა და „ალანიაში“ სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული. გიორგის ვალერი გაზაევის გუნდში სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ აქვს. ამასთან, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ „ვიტესში“ დაბრუნება არანაირად არ სურს.

აქედან გამომდინარე, მისი „ტორინოში“ გადასვლა გამორიცხული არ არის, თუ ერთმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი. ტურინელებს უპირველესად სლოვაკი შემტევის, ვლადიმირ ვაისის შეძენა სურთ. ვაისი „პესკარაშია“ და ეს გუნდი, ფაქტობრივად, გავარდნილია სერია ა-დან. თუმცა, ვაისი ბოლოს საერთოდ არ თამაშობდა, რადგან ტრავმირებული იყო.

„ტორინო“ სერია ა-ში მე-16 პოზიციაზეა და დიდი ალბათობით, უმაღლესში ადგილს შეინარჩუნებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 30 აპრილისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ! მშვენიერი დღეა**

**ვერძი** — თავს მშვენივრად იგრძნობთ. **კურო** — ახალ სამსახურს ეგუებით. **ტყუპები** — ფული გაქვთ, პრობლემა გეხსნებათ. **კირჩხიბი** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ, თქვენი ახლობლები ხარობენ. **ლომი** — ცხოვრება მართლა გეცვლებათ და ეს ამბავი გახარებთ. **ქალწული** — ყველა საქმე გამოგივათ, მთავარია, მოინდომოთ. **სასწორი** — ფულს იშოვით, იმაზე მეტს, ვიდრე გეგონათ. **ღრიანკალი** — პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, არ შეშინდეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, ყური მიუგდეთ მას. **თხის რქა** — თქვენი სიკეთე თქვენვე დაგიბრუნდებათ. **მერწყული** — მთლიანობაში კარგი დღე გამოგივათ. **თევზები** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, მშვიდად იყავით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. ირანში, ავღანეთში, შუააზიაში გავრცელებული გარეული ვირი; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. თეთრეულის და ტანსაცმლის კარადა; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. ფრანგი მევიოლინე, საერთაშორისო კონკურსის დამფუძნებელი; 13. რაიმე ცვლის, განვითარების პროცესი; 14. აფრიკული გარეული ცხოველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 20. ბრიტანული ტაქსი.

**თარაზულად:** 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. სასტუმრო თბილისში; 9. აეროპორტი პარიზში; 10. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 11. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 19. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 21. ძმარმჟავა მარილი; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. დაბალი ხმით სიცილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## მაიკლ ჯორდანი კუბელ მოდელზე დაქორწინდა



„ფოქს ნიუსის“ ცნობით, ლეგენდარული კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი ცოტა ხნის წინ კუბელ მოდელ ივეტ პრიეტოზე დაქორწინდა. ცერემონია შაბათს ფლორიდის ეკლესიაში გაიმართა.

50 წლის ჯორდანის და 35 წლის პრიეტოს ქორწილში დაახლოებით 500 სტუმარი იყო მიწვეული. ჯორდანს პირველ მეუღლესთან ხუანიტა ვანოასთან, რომელთანაც 1989 წელს იქორწინა, სამი შვილი ჰყავს.

„ფიფლის“ მიხედვით, ჯორდანმა პრიეტო 2008 წელს მაიამის ერთ-ერთ ღამის კლუბში გაიცნო.

მაიკლ ჯეფრი ჯორდანი (17 თებერვალი 1963, ბრუკლინი, ნიუ-იორკი) – ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მოთამაშე, რომელიც ამჟამად შარლოტ ბობკეტსის მთავარი მფლობელია. ჯორდანმა 1980-1990-იან წლებში აქტიური როლი ითამაშა მსოფლიოს მასშტაბით ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პოპულარიზაციაში.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## ომარ კელაპტრიშვილს 70 წლის იუბილეზე ძეგლი დაუდგეს

**ქართული ხალხური საკრავების დიდოსტატის ომარ კელაპტრიშვილის 70 წლის იუბილეზე მის მშობლიურ ქალაქ კასპში საგანგებო ღონისძიება გაიმართა. ამ იუბილესთან დაკავშირებით კულტურის სახლის წინ ომარ კელაპტრიშვილის ბიუსტი გაიხსნა, კულტურის სახლ „ჰარმონიას“ კი ომარ კელაპტრიშვილის სახელი ეწოდა.**



საიუბილეო ღონისძიებას მსახიობი დიმა ჯაიანი უძღვებოდა, მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მომღერლები, მწერლები, ასევე სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლები. ბიუსტის საზეიმო გახსნის შემდეგ, შეკრებილმა საზოგადოებამ უკვე კულტურის სახლში გადაინაცვლა, სადაც საიუბილეო კონცერტი გაიმართა. დიდ ეკრანზე ნაჩვენები იყო ნაწყვეტები მისი ცხოვრებიდან, შეკრებილ მაყურებელს ეკრანიდან თავად ომარ კელაპტრიშვილიც ესაუბრა.

– ომარ კელაპტრიშვილი იყო კაცი, რომელიც აღმაფრენის, ზეაწეულობის სიმბოლოს წარმოადგენდა. მისი სინდისიც, ფანდურიც, სალამურიც, კაცობაც სულ სხვანაირად ჟღერდა, ამიტომ ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს ეს დიდებული ადამიანი, მას ნამდვილად ეკუთვნის საკადრისი პატივისცემა. ეს წელი მისთვის საიუბილეოა, ომარ კელაპტრიშვილს 70 წელი შეუსრულდებოდა, – განაცხადა დიმა ჯაიანმა.

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული ხელოვანი, საქართველოს სახალხო არტისტი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი ომარ კელაპტრიშვილი თანდაყოლილი, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსი იყო, რომელიც გამაოგნებელ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. მან ტრიუმფით დაიპყრო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენა და სამშობლო არაერთგზის ასახელა.

სალამურზე ვირტუოზულად შესრულებული ხური თუ კლასიკური მუსიკის შედევრები, მარგალიტებივით ამკობდა ქართულ სამუსიკო ხელოვნებას. მან ერთ-ერთმა პირველმა, რატომღაც მივიწყებული უძველესი საკრავი ინსტრუმენტი ხელახლა ააღორძინა და დაამკვიდრა: „ჩემი ბედისწერა ყოფილა სალამური – ძნელია იმის გადმოცემა, თუ რა განცდა დამეუფლა, როდესაც 2 500 წლის წინანდელი, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, მცხეთელი ბიჭის

გაგრძელება მე-10 გვერდზე